ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ნუციკო ძანძავა

უკრაინის ომი, როგორც უსაფრთხოების გამოწვევა: ეროვნული იდენტობის გავლენა უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებულ პოზიციებზე რუსეთიდან მომავალი საფრთხის მიმართ

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი,
2023 წელი.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთისა და პოლონეთისა განსხვავებული პოზიციონირების მიზეზების შესწავლის მცდელობას. ორი სახელმწიფო, რომელსაც როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე რეჟიმებს შორის სიახლოვე აკავშირებს, საერთო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სივრცის ნაწილია და რომლისთვისაც რუსეთიდან მომდინარე სამხედრო აგრესია თანაბრად წარმოადგენს უსაფრთხოების გამოწვევას, ამ კონფლიქტში სრულიად საპირისპიროდ პოზიციონირებს. ეს კი პრობლემის უფრო სიღრმისეული ანალიზის საჭიროებას წარმოშობს.

კვლევის მიზანია საკითხის ანალიზში ისტორიული გამოცდილებისა და ეროვნული იდენტობის განზომილების შემოტანით აიხსნას სახელმწიფოთა მოტივაციები და ქცევები. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსეთს მიმართ პოლონეთის ანტაგონისტური ისტორიული გამოცდილება და შესაბამისად ჩამოყალიბებულ ეროვნულ იდენტობა, ამ უკანასკნელს მოსკოვიდან წამოსული საფრთხის მიმართ უფრო სენსიტიურს ხდის. ამის საპირისპიროდ, უნგრეთში რუსეთის მიმართ მსგავსი გამოცდილების არარსებობა, აგრეთვე „ახალი უნგრული იდენტობის“ ფარგლებში ეროვნულ იდენტობაში წინ წამოწეული სპეციფიკური საკითხები უნგრეთს რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების პერსპექტივას უჩენს.

აკადემიურ პუბლიკაციებზე, დარგის ექსპერტთა მოსაზრებებზე, გადაწყვეტილების მიმღები პირების გამოსვლებსა და სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულია საკითხის გარშემო არსებული თეორიული და ფაქტობრივი მასალა. ამასთან, საკითხის სიღრმისეულად შესწავლისთვის გამოყენებულია ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის თეორია. კვლევის სიახლეს წარმოადგენს პოლონეთ-უნგრეთის შესახებ შექმნილ აკადემიურ ლიტერატურაში რუსეთის მიმართ მათი განსხვავებული ეროვნული იდენტობის მნიშვნელობაზე ფოკუსირებული ნაშრომების ნაკლებობა.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-უკრაინის ომი, უნგრეთი, პოლონეთი, ეროვნული იდენტობა, კონსტრუქტივიზმი*

Abstract

This paper aims to examine the distinct stances adopted by Hungary and Poland in the 2022 Russia-Ukraine conflict. Despite their geographical proximity, shared security concerns, and economic interdependence, Hungary and Poland have demonstrated notable disparities in their responses to the ongoing conflict. Therefore, a deeper analysis is warranted to understand the underlying factors contributing to this issue.

The main objective of this study is to explain the motivations and behaviors of these states by examining their historical encounters with Russia and the formation of their respective national identities. According to the research hypothesis, Poland's adversarial historical experiences with Russia shaped Polish national identity, which contributes to a heightened sensitivity and caution towards the threat posed by Russia. In contrast, Hungary's limited historical experiences with Moscow, combined with the specific elements of the "new Hungarian identity," provide a basis for more pragmatic relations with Russia.

To accomplish this analysis, the paper draws upon a range of academic publications, expert opinions, speeches delivered by decision-makers, and national security strategies of the respective states. Furthermore, the study employs the theoretical framework of holistic constructivism. Given the lack of academic research focusing on the role of Hungary and Poland's national identities in relation to Russia, this paper constitutes a significant contribution to the existing scholarly discourse.

Keywords: *Russia-Ukraine War, Hungary, Poland, National Identity, Constructivism*

სარჩევი

შესავალი 1

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 6

ტერმინების განმარტება 8

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 12

თავი II. თეორიული ჩარჩო 19

თავი III. უკრაინის ომი, როგორც სტრატეგიული გამოწვევა პოლონეთისა და უნგრეთისთვის 23

თავი IV. რუსეთი, როგორც „საფრთხე“ პოლონეთის ეროვნულ იდენტობაში 27

თავი V. “ახალი უნგრული იდენტობა” და რუსეთისკენ შემობრუნება 31

თავი VI. უკრაინის საკითხი პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნულ იდენტობაში 36

თავი VII. ეროვნული იდენტობის გავლენა საგარეო საფრთხის აღქმაზე 39

თავი VIII. უნგრეთ-პოლონეთის ეროვნული იდენტობა და საგარეო პოლიტიკა: თეორიული ანალიზი 43

დასკვნა 47

ბიბლიოგრაფია: 49

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის შეჭრით, ევროპასა და მთლიანად საერთაშორისო სისტემაში უსაფრთხოების ახალი რეალობა ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის კონტინენტი, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებისა და ეკონომიკური კავშირების გაბმით, ფაქტობრივად უწყვეტი მშვიდობის ცენტრად იქცა. იდეას იმის შესახებ, რომ ვაჭრობის გაღრმავება და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობიანი ევროპის საწინდარი იყო, საკმაოდ ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი. ეს კი, თავის მხრივ, ევროპული სახელმწიფოების რუსეთთან "business as usual" დამოკიდებულებაშიც ვლინდებოდა (მათ შორის, რუსეთ-საქართველოს 2008 წლისა და ყირიმის 2014 წლის ომების შემდეგაც). თუმცა, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ეს ილუზიები საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ამას კი, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროპის კონტინენტზე ცვლილებების ყველაზე დიდი ტალღა მოჰყვა (Cohen, 2023).

რუსულ რესურსებზე ევროპის ენერგოდამოკიდებულების დრამატული შემცირება, ფინეთისა და შვედეთის NATO-ში გაწევრიანების განაცხადი, მოსკოვისთვის დაწესებული სანქციების 10 რაუნდი და უკრაინისთვის გაწეული უპრეცედენტო მასშტაბის დახმარება ამ ცვლილებების მხოლოდ ნაწილია. კიდევ ერთი "ფლანგი," რომელზეც რუსეთ-უკრაინის ომმა საინტერესო გავლენა მოახდინა ევროკავშირის "ილიბერალური ალიანსი" - ანუ უნგრეთისა და პოლონეთის ურთიერთობებია. წლების განმავლობაში, ორი ქვეყნის მჭიდრო პარტნიორობა, როგორც ბილატერალურ ფორმატში, ისე ევროკავშირის შიგნით, განსაკუთრებით დიდი ინტერესის საგანი გახლდათ. ერთი მხრივ, უნგრულ-პოლონური "ისტორიული მეგობრობის" იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს; ამას ემატება სოციალისტური ბანაკის წევრობის საერთო ისტორიული გამოცდილება, NATO-ს და ევროკავშირში ერთდროული გაწევრიანება და კოოპერაცია ვიშეგრადის ოთხეულის (V4) რეგიონულ ფორმატში, რომლის ცენტრალურ ღერძსაც სწორედ უნგრულ-პოლონური კავშირი წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოთა რეჟიმებს იდეოლოგიური სიახლოვეც ახასიათებთ - უნგრეთის "ფიდესი" ვიქტორ ორბანის ხელმძღვანელობით, ისევე, როგორც პოლონური "კანონი და სამართლიანობა" (PiS) იაროსლავ კაჩინსკის

მეთაურობით, ერთმანეთის მსგავს ღირებულებით პოლიტიკას ატარებენ. ანტი-ლიბერალური, სუვერენიტეტისა და ტრადიციების დაცვაზე ორიენტირებული, ნაციონალისტურ-პოპულისტური პოლიტიკური იდეოლოგიის ფონზე, ორი ქვეყნის მმართველი ძალები ერთმანეთთან ბევრ საერთოს პოულობდნენ, ეს კი, ყველაზე კარგად ევროკავშირის შიგნით, უნგრულ-პოლონური "ილიბერალური ალიანსის" ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ალიანსის ევროსკეპტიციზმის უკანასკნელ გამოვლინებად, 2020 წლის ნოემბერში, უნგრეთმა და პოლონეთმა ერთობლივად დაბლოკეს ევროკავშირის 1.8 ტრილიონი ევროს მოცულობის დახმარების პაკეტი კოვიდისგან დაზარალებული ეკონომიკის აღსადგენად, რადგანაც, დახმარების გაცემის წინაპირობად სახელმწიფოების მიერ დემოკრატიული ღირებულებების დაცვა უნდა დადგენილიყო (Holesch & Kyriazi, 2022).

ამის ყველაფრის ფონზე, უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობებში გაჩენილი ბზარი დიდი ინტერესის საგანია. პოლონეთი ომის დაწყების დღიდანვე (და იქამდეც) უკრაინას აქტიურად უჭერდა მხარს - როგორც სამხედრო დახმარებით, ისე უპრეცედენტო რაოდენობის უკრაინელი ლტოლვილების მიღებით; იმავეს ვერ ვიტყვით უნგრეთზე. ამ უკანასკნელმა, არა მხოლოდ დააბრკოლა ევროკავშირის სანქციები რუსეთისადმი, არამედ 2022 წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალურ ვიზიტზეც კი წარგზავნა მოსკოვში. უკრაინის ომისადმი ეს ორი სტრატეგიულად განსხვავებული მიდგომა თავად ლიდერების მხრიდანაც აღინიშნა: "უნგრეთი ამ კონფლიქტს უყურებს, როგორც ორ სლავურ ერს შორის ომს, პოლონელები კი, თითქოს თავადვე იბრძვიან მასში" - განაცხადა ორბანმა (Coakley, 2022). ორ ქვეყანაში განსხვავდება ომის შესახებ საზოგადოების შეხედულებებიც - 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, პოლონელების 65% ემხრობა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შენარჩუნებას, მაშინ, როცა ევროკავშირის პოლიტიკას უნგრელების მხოლოდ 32% უჭერს მხარს (YouGov Cambridge, 2022).

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს უკრაინის ომის დაწყებით გამოწვეული ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტის ტრანსფორმაცია და ის მასშტაბური ცვლილებები, რაც ომის დაწყებიდან 1 წლის თავზე უკვე სახეზე გახლდათ ევროპის კონტინენტზე (და არა მარტო). ამ კუთხით კი, განსაკუთრებით აქტუალურია უნგრეთისა და პოლონეთის შემთხვევების შესწავლა: არა მხოლოდ ორი ქვეყნის სამომავლო ბილატერალური

ურთიერთობების განსაზღვრის, არამედ ევროკავშირის კონტექსტშიც, რომელსაც ეს "ილიბერალური ალიანსი" ბევრ დაბრკოლებას უჩენს. ომის დასრულებასთან დაკავშირებული ბუნდოვანების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ სახელმწიფოების მიერ ამ ერთ წელიწადში გატარებული პოლიტიკა და მათი მოტივაციები. უნგრეთისა და პოლონეთის პოზიციონირება კი, ამ კუთხით, მეტად საინტერესო „თავსატეხს" გვთავაზობს.

იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის ომი ჯერ კიდევ მიმდინარე მოვლენაა, ნაშრომში მხოლოდ ომის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტები იქნება გაანალიზებული. მოვლენების სწრაფი განვითარების პირობებში, აღნიშნული შეზღუდვა კვლევის სანდოობას და სიზუსტეს უზრუნველყოფს.

ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ევროპული პოლიტიკური რეალობის ტრანსფორმაციის გადააზრების აუცილებლობა; 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ მოვლენების განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ამ პროცესებში აქტიურად ჩართული სახელმწიფოთა ქმედებების, მათი მოტივების შესწავლისა და ახსნის საჭიროება ცხადად დგას. ამასთანავე, თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში უნგრეთისა და პოლონეთის შესახებ შექმნილი ნაშრომები ძირითადად ამ აქტორებს შორის იდეოლოგიურ თუ რეჟიმების დონეზე არსებულ მსგავსებაზე კონცენტრირდება. უკრაინის ომმა კი აჩვენა, რომ ამ მსგავსებების მიუხედავად, საგარეო საფრთხეების წინაშე ორი სახელმწიფო სხვადასხვაგვარად პოზიციონირებს. შესაბამისად, საინტერესოა არა მხოლოდ ამ განმასხვავებელ ნიშნებზე ორიენტირება, არამედ საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში ეროვნულ იდენტობის განზომილების ჩართვაც.

ნაშრომის მიზანია, აიხსნას უკრაინის ომის დაწყების შემდგომ უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებული პოზიციები, რისთვისაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ამ სახელმწიფოების ეროვნული იდენტობისა და ისტორიული გამოცდილების ანალიზზე. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება: **რა გავლენა იქონია უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებულმა ეროვნულმა იდენტობებმა უკრაინის ომში მათ პოზიციებზე?**

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, უკრაინის ომში, უნგრეთისა და პოლონეთის სხვადასხვაგვარ რეაქციებს განაპირობებს ამ სახელმწიფოების მიერ რუსეთიდან მომავალი საგარეო საფრთხეების განსხვავებული აღქმა, რაც მათი განსხვავებული ეროვნული იდენტობითა და ისტორიული გამოცდილებითაა განპირობებული. ერთი მხრივ, რუსეთთან პოლონეთის ტრადიციულად კონფლიქტურმა ისტორიულმა გამოცდილებამ გაამძაფრა მოსკოვიდან მომდინარე საფრთხის აღქმა; თავის მხრივ, "საერთო მტრის" ხატმა შეცვალა პოლონეთ-უკრაინის ანტაგონისტური ისტორიული დამოკიდებულება. მეორე მხრივ, მსგავსი ტრავმული გამოცდილების არარსებობამ გავლენა მოახდინა უნგრეთის შედარებით რბილ პოზიციონირებაზე; ხოლო ვიქტორ ორბანის მიერ ჩამოყალიბებულმა "ახალმა უნგრულმა იდენტობამ" - მისმა მიდგომამ უკრაინაში მცხოვრები უნგრული უმცირესობის საკითხისადმი და სიახლოვემ პუტინის რეჟიმთან - ასევე განაპირობა უნგრეთის რეაქცია. ჰიპოთეზის დასადასტურებლად, ნაშრომში გამოყოფილია შესაბამისი ცვლადები: **დამოკიდებული ცვლადია** უნგრეთისა და პოლონეთის მიერ უკრაინის ომში დაფიქსირებული განსხვავებული პოზიცია; **დამოუკიდებელი ცვლადია** ამ სახელმწიფოების განსხვავებული ეროვნული იდენტობა; ხოლო **შუალედური ცვლადია** საგარეო საფრთხის აღქმა.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ იდენტობასა და საგარეო პოლიტიკურ ქცევას შორის არსებულ კორელაციას. კონსტრუქტივისტული ხედვით, წარსული კონსტრუირდება აწმყოს მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით. ისტორიული მეხსიერება, რაც თავის მხრივ, იდენტობას აყალიბებს, პოლიტიკურ ქცევაზე რამდენიმე კუთხით ახდენს გავლენას: ის ადგენს ჯგუფის იდენტობის განმსაზღვრელ ნორმებსა და წესებს; წარმოადგენს სხვა ჯგუფებთან შედარების წყაროს (განსაკუთრებით დაპირისპირებულ ჯგუფთან მიმართებით); გავლენას ახდენს ამ ჯგუფის მიერ სამყაროს აღქმასა და გაგებაზე; და აყალიბებს ჯგუფის სამომავლო გეგმებსა და მიზნებს. ეროვნულ დონეზე, იდენტობა განაპირობებს ეროვნულ ინტერესებს, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს სახელმწიფოს ქცევას. ხალხთა კოლექტიური მეხსიერების გააზრება ეროვნული ინტერესებისა და სახელმწიფოთა ქცევის გაგებას გვიმარტივებს (Wang, 2018. p. 12). საკვანძო ისტორიული მოვლენები - იქნება ეს გამარჯვებები თუ ტრავმული გამოცდილებები - განსაკუთრებულ გავლენას

ახდენს ჯგუფის იდენტობის ჩამოყალიბებაზე. წარსული დიდება თუ კონფლიქტები, ისტორიული მტრობა და მათთან დაკავშირებული კოლექტიური მეხსიერება, მომავალ თაობებს გადაეცემა და მითოლოგიზაციას განიცდის (Wang, 2018. pp. 15 – 17).

ამ კონტექსტში, ნაშრომში, ორივე სახელმწიფოს ისტორიული მეხსიერება და აქედან გამომდინარე, ეროვნული იდენტობა დაკავშირებული იქნება მათ მიერ უკრაინის ომის მიმდინარეობისას რუსეთიდან მომავალი საგარეო პოლიტიკური საფრთხის განსხვავებულ აღქმასთან. ამისთვის, გაანალიზდება არა მხოლოდ ისტორიული მაგალითები და მიმდინარე მოვლენები, რაც კოლექტიური მეხსიერების განმაპირობებელი ძირითადი საკითხებია, არამედ ისეთ პოლიტიკურ ინდიკატორებიც, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, რეჟიმებს შორის მსგავსება, სახელმწიფოთა ლიდერების როლი და სხვ. ეროვნულ იდენტობასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ქცევას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებითაც, რომ ეროვნული იდენტობა სოციალურად კონსტრუირებული კონცეფციაა (იხ. *ტერმინების განმარტება)* ამ ცნებას უფრო ფართო გაგება უნდა მიენიჭოს.

როგორც უკვე აღინიშნა, პოლონეთსა და უნგრეთს არა მხოლოდ ისტორიული მეგობრობა და პარტნიორობა აკავშირებთ, არამედ დღესდღეობით საერთო ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემების ნაწილსაც წარმოადგნენ - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორივე სახელმწიფომ თითქმის ერთდროულად აიღო გეზი ევროატლანტიკური სივრცისკენ და იქ მოსახვედრად საკმაოდ დიდი ძალისხმევა გაიღო. პოლონეთს და უნგრეთს როგორც NATO-ს, ისე ევროკავშირის შემადგენლობაში ერთნაირი დრო აქვთ გატარებული. ამასთან, გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, უკრაინის ომში რუსეთისგან მომავალი საფრთხე ორივე სახელმწიფოსთვის თანაბრად წარმოადგენს უსაფრთხოების გამოწვევას. თუმცა, პრაგმატული, რაციონალური "შედეგების ლოგიკა" და სისტემის დონეზე განხილვა ვერ ხსნის, თუ რატომ იქცევა ერთი შეხედვით მსგავს საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში მყოფი ორი სახელმწიფო განსხვავებულად - რატომ განსხვავდება რუსეთიდან მომავალი, ერთი შეხედვით თანაბარი საფრთხის აღქმა პოლონეთისა და უნგრეთისთვის.

აღნიშნული საკითხის უფრო ყოვლისმომცველი ანალიზისთვის, გამოყოფილი ცვლადებიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული სკოლის თეორია. კონსტრუქტივიზმი, სხვა მეინსტრიმული თეორიებისგან განსხვავებით, აქცენტს აკეთებს სოციალურ და არა მატერიალურ კონსტრუქციაზე. ეს თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოლექტიური მეხსიერებისა და იდენტობის საკითხებს. სახელმწიფოთა ქცევაში მათი იდენტობისა (თვით-აღქმის) და ინტერესების ანალიზით სწორედ კონსტრუქტივიზმი ხსნის, თუ რატომ იქცევიან სხვადასხვა სახელმწიფოები განსხვავებულად მსგავსი სისტემური შეზღუდვების პირობებში. მისი ერთ-ერთი ქვესახეობა - ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი კი ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ განზომილებებს. მის მიხედვით, ერთი მხრივ, სახელმწიფოს იდენტობა, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემის თავისებურებები და ნორმები კაუზალურ გავლენას ახდენს მის ინტერესებსა და ქცევაზე. ამ შემთხვევაში, პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნული იდენტობა და ისტორიული გამოცდილება (დამოუკიდებელი ცვლადი), განაპირობებს მათ მიერ საერთაშორისო სისტემის საფრთხეების განსხვავებულ აღქმას (შუალედური ცვლადი), რაც, შესაბამისად, გავლენას ახდენს უკრაინის ომში მათ პოზიციონირებაზე (დამოკიდებული ცვლადი). სწორედ ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის თეორიის გამოყენებით ვეცდები, ავხსნა ეს კავშირი ცვლადებს შორის (Nia, 2011. pp. 113 – 114).

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები, რაც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ისეთ სტრატეგიას, რომელიც არ იყენებს ციფრობრივ მანიპულაციებს. თვისებრივი მეთოდები არ მოიცავს საკვლევი ობიექტის რაოდენობრივ გაზომვას, შესაბამისად, ნაკლებად სტრუქტურირებული და ფორმალიზებულია, თუმცა, ამის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში, თვისებრივი მეთოდები ფოკუსირებულია კონკრეტული პროცესების ანალიზზე და მოვლენების სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა. ასეთი მეთოდები ხშირად ეყრდნობა აზროვნების ინდუქციურ გზას, რაც ცალკეული

დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ქმნის (Lamont, 2015. pp. 95 – 96). კონკრეტულად ამ ნაშრომში, კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენება უპრიანია, რადგან დროსა და კონტექსტზე მორგებისა და კონკრეტული ჯგუფების შიგნით არსებული ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა (წულაძე, 2020. გვ. 14).

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში თვისებრივი მეთოდები ხშირად „შემთხვევის შესწავლის" დიზაინთან ერთად გვხვდება. ესაა კვლევის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება კონკრეტული ფენომენის/მოვლენის/აქტორის დეტალურ აღწერასა და ღრმა ემპირიულ ანალიზს, რაც, შემდგომში, შედეგების განზოგადების საშუალებას იძლევა. ნაშრომში „შემთხვევის შესწავლის" დიზაინი გამოყენებულია თეორიასა და კაუზაულ მექანიზმებზე დაყრდნობით, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა და კონკრეტული მოვლენის ახსნის მიზნით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლონეთისა და უნგრეთის განსხვავებული პოზიციები უკრაინის ომში წარმოადგენს ერთ კონკრეტულ „შემთხვევას", რომელიც, ანალიზისას ორი „ქვე-შემთხვევის" სახით გაირჩევა, თითოეული ქვეყნის ქცევაზე ეროვნული იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების გავლენის შესწავლის გზით.

კვლევის დიზაინიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების შინაარსის ანალიზის მეთოდი. ამ მიზნით, მოხდა პირველადი წყაროების დამუშავება - ოფიციალური დოკუმენტების, გადაწყვეტილების მიმღები პირების გამოსვლების, სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შესწავლა, როგორც ქვეყნების, ისე წლების მიხედვით. პოლონეთისა და უნგრეთის უსაფრთხოების სტრატეგიებიდან გამოიყო ძირითადი ფრაზები და ტერმინები *("რუსეთის ფედერაცია", „საფრთხე", "პოლონეთი", "უნგრეთი", "უკრაინა", „NATO", „ეროვნული იდენტობა", „ქრისტიანობა").* ასევე დამუშავდა მეორეული წყაროები - საკითხის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურა, თეორიული ანალიზები, დარგის ექსპერტების მოსაზრებები. წყაროების დამუშავების შემდეგ გამოიყო საკვანძო ფრაზები და გაანალიზდა ინფორმაცია.

ტერმინების განმარტება

ცვლადების ოპერაციონალიზაციის მიზნით, აუცილებელია შესავალშივე განვსაზღვროთ იმ ძირითადი ტერმინების მნიშვნელობა, რომლებიც კვლევაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

ეროვნული იდენტობას, როგორც ტერმინს, განსაკუთრებით რთული და ბუნდოვანი განმარტება აქვს. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ხშირად იყენებენ "ეროვნული იდენტობის" ცნებას პოლიტიკასა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში, ჯერ-ჯერობით, მისი ყოვლისმომცველი და ზუსტი მნიშვნელობა განსაზღვრული არაა. ზოგადად, აკადემიაში ნაციონალიზმის სამი სკოლა გამოიყოფა: პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი.

პრიმორდიალიზმი ერთგვარი „ქოლგა" ტერმინია, რომლის მიხედვითაც ეროვნული მიკუთვნებულობა ადამიანებისთვის ისეთივე ბუნებრივია, როგორც საუბარი ან ყნოსვის შეგრძნება, ხოლო ერები დროის დასაბამიდან არსებობდნენ. პრიმორდიალური იდენტობები წინასწარგანსაზღვრული, ბუნებრივად მოცემულია. სოციალურ მეცნიერებებში ეს მიდგომა საკმაოდ დიდხანს იყო აქტუალური (Özkirimli, 2010, p. 49).

მოდერნიზმის მიდგომის მიხედვით ერი და ნაციონალიზმი თანამედროვეობის, ბოლო ორი საუკუნის წარმონაქმნია. ისინი კაპიტალიზმის, ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციისა და სეკულარიზმის შედეგად მოევლინნენ სამყაროს; ხოლო პრე-მოდერნულ ერაში ერებისა და ნაციონალიზმის საჭიროება უბრალოდ არ იდგა. ერნესტ გელნერი და ბენედიქტ ანდერსონი სწორედ ამ სკოლას ეკუთვნიან. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, „ერები და ნაციონალიზმი" (1983) გელნერი ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი, უპირველესად პოლიტიკური პრინციპი და თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების პროდუქტია (Özkirimli, 2010, pp. 72, 104). ხოლო ბენედიქტ ანდერსონი ნაშრომში "წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ" (1983), "ერს" განმარტავს, როგორც "წარმოსახვით პოლიტიკურ საზოგადოებას"; ერი წარმოსახვითია იმდენად, რამდენადაც მისი თითოეული წარმომადგენელი ვერასდროს შეხვდება ყველა სხვა

დანარჩენ წარმომადგენელს, თუმცა, მათ წარმოსახვაში ისინი ერთი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ (Tamir, 1995. pp: 420-421).

ეთნოსიმბოლიზმი, თავის მხრივ, სწორედ მოდერნიზმის კრიტიკიდან იღებს სათავეს და ხაზს უსვამს ერების ფორმაციაში მითების, სიმბოლოების, მეხსიერების, ღირებულებებისა და ტრადიციების როლს. ამ სკოლის მთავარი წარმომადგენელი, ენტონი დ. სმიტი, 1991 წლის ნაშრომში "ეროვნული იდენტობა", ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ იდენტობა მხოლოდ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ფაქტორებითაა განპირობებული და სანაცვლოდ ამტკიცებს, რომ ის კულტურულ - ისტორიულ საფუძვლებზე დგას და ეყრდნობა კოლექტიურ გამოცდილებას, მეხსიერებასა და ტრადიციებს. შესაბამისად, ეროვნული იდენტობა არა წინასწარგანსაზღვრული ან უცვლელი, არამედ მოძრავი და მუდმივად ცვალებადი კონსტრუქციაა (Guibernau, 2004. p. 127). ავტორი წინ წამოწევს „ოქროს ხანის" მოგონებების, წარმოშობის მითებისა და კულტურულ/ლიტერატურული გმირების მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში (Özkirimli, 2010, p. 143).

ნაშრომში ეროვნული იდენტობის სწორედ ამ, უკანასკნელ გაგებას დავეყრდნობი, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნული იდენტობის გაგებაში კოლექტიურ მეხსიერებას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ, მის ცვალებად ხასიათს უსვამს ხაზს. უფრო კონკრეტულად, ნაშრომში პოლონეთის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების კუთხით, რუსეთთან მიმართებაში მისი კოლექტიური მეხსიერება და ტრავმული გამოცდილებებია განხილული; ხოლო უნგრეთის შემთხვევაში, ხაზგასმულია არა მხოლოდ მსგავსი გამოცდილების არარსებობა, არამედ უნგრული ეროვნული იდენტობის მახასიათებლებში ვიქტორ ორბანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაწყებული ცვლილებები და ამ კუთხით რუსეთთან დაახლოებისთვის სტიმულების გაჩენა.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც განმარტებას საჭიროებს, არის **კოლექტიური მეხსიერება.** ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, კეტრინ ბახლაიტნერი ნაშრომში „კოლექტიური მეხსიერება საერთაშორისო ურთიერთობებში" (Collective Memory in International Relations) განმარტავს, რომ ტერმინი გულისხმობს არა კოლექტივის მიერ დამახსოვრებას, არამედ *კოლექტიურად* დამახსოვრებას, ანუ

პროცესს, რომელიც სოციალურ ჩარჩოში მიმდინარეობს. საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებით, ეს ჩარჩოები მოიცავენ როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო განზომილებას. კოლექტიური მეხსიერება „აღწერს პროცესს, რომლითაც წარსული კი არ ინახება, არამედ აწმყოზე დაყრდნობით კონსტრუირდება“ (Bachleitner, 2021, p. 2).

მეხსიერებისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთდამოკიდებულებაზე ამერიკელი ისტორიკოსი ჯონ გილისიც საუბრობს ნაშრომში „კომემორაცია: ეროვნული იდენტობების პოლიტიკები” (Commemorations: The Politics of National Identities). მისი თქმით, იდენტობა დაკავშირებულია მეხსიერებასთან და პირიქით. ნებისმიერი ჯგუფის იდენტობა, ანუ დროსა და სივრცეში ერთიანობის განცდა სწორედ კოლექტიური მეხსიერებითაა შენარჩუნებული; ხოლო ის, თუ რა აღმოჩნდება კოლექტიური მეხსიერების საზღვრებში, სწორედ ეროვნული იდენტობითაა განსაზღვრული. მეხსიერება, ისევე როგორც იდენტობა, დროთა განმავლობაში იცვლება - შესაბამისად, კოლექტიური მეხსიერება სოციალურად კონსტრუირებადი ფენომენია (Gillis, 2004. pp. 3-5).

ნაშრომი შემდეგნაირადაა სტრუქტურირებული: *შესავალში* მოკლედ აღწერილია საკვლევი საკითხი, გამოყოფილია საკვლევი კითხვა, ცვლადები და ჰიპოთეზა, განმარტებულია მნიშვნელოვანი ტერმინები და აღნიშნულია კვლევის აქტუალობა. *ლიტერატურის მიმოხილვაში* გაანალიზებულია საკვლევი საკითხის გარშემო არსებული რელევანტური აკადემიური ლიტერატურა. *თეორიულ ჩარჩოში* მიმოხილულია კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლის და მისი ჰოლისტური მიმდინარეობის ძირითადი პოსტულატები.

პირველ თავში აღწერილია უნგრეთისა და პოლონეთის სტრატეგიული პარტნიორობის თავისებურებები; ამის ფონზე კი, გაანალიზებულია ამ სახელმწიფოების განსხვავებული რეაქციების უკრაინის 2022 წლის ომზე. *მეორე თავში* რუსეთის მიმართ პოლონეთის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესია განხილული. ხოლო *მესამე თავში* ფოკუსი უკვე უნგრეთზე გადადის, უფრო კონკრეტულად - ვიქტორ ორბანის პერიოდში „ახალი უნგრული იდენტობის“

ჩამოყალიბებასა და რუსეთისკენ შემობრუნებაზე. *მეოთხე თავში* უნგრეთისა და პოლონეთის იდენტობის უკრაინასთან მიმართებით ჩამოყალიბებაა აღწერილი. *მეხუთე თავში* ამ სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებზე დაყრდნობით განხილულია იდენტობის გავლენა სახელმწიფოების მიერ საგარეო საფრთხის აღქმაზე. *მეექვსე თავში* კი, კონსტრუქტივიზმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, ნაჩვენებია კორელაცია ამ სახელმწიფოების განსხვავებულ ეროვნულ იდენტობასა და უკრაინის ომში მათ მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს შორის.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა. ვინაიდან ნაშრომი მეტად აქტუალურ, თუმცა შედარებით ახალ თემას ეხება, უშუალოდ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები ნაკლებად მოიძებნება. ამის მიუხედავად, მრავლადაა საკვლევ თემატიკასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ისეთი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეეხება: ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის კორელაციას; უშუალოდ პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას vis-à-vis რუსეთსა და უკრაინასთან; და პოლონეთისა და უნგრეთის რეჟიმთა იდეოლოგიური სიახლოვის მიზეზებს. შესაბამისად, ამ თავში სამი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა - პირველ ნაწილში განხილული იქნება თეორიული ნაშრომები საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ეროვნული იდენტობის გავლენაზე; მეორე ნაწილში უშუალოდ საკვლევი ობიექტების - პოლონეთისა და უნგრეთის - ეროვნული იდენტობების შესახებ შექმნილი ლიტერატურა მიმოიხილება, სპეციფიკურად რუსეთსა და უკრაინასთან მიმართებაში; ხოლო მესამე ნაწილში გაანალიზდება საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა ვარშავა - ბუდაპეშტის ისტორიული თუ მიმდინარე (რეჟიმებს შორის) იდეოლოგიური სიახლოვის შესახებ.

ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთმიმართებაზე შექმნილ ნაშრომებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ილია პრიზელის "ეროვნული იდენტობა და საგარეო პოლიტიკა: ნაციონალიზმი და მმართველობა პოლონეთში, რუსეთსა და უკრაინაში" (National Identity and Foreign Policy: Nationalism And Leadership In Poland, Russia and Ukraine). მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის მეცნიერება, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შემდეგ, ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის კონცეფციებისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი, ავტორი მიიჩნევს, რომ ეროვნული იდენტობა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ამხსნელი ფაქტორებს შორის ერთ-ერთი გადამწყვეტია (Prizel, 1998, pp. 1-3). ნაშრომში ავტორი ორ ძირითად არგუმენტს აყალიბებს - სახელმწიფოს იდენტობა სჭირდება ფსიქოლოგიური ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად, რომლის ფარგლებშიც ის ფუნქციონირებას შეძლებს. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს გააჩნია იდენტობა, რომელიც მის ღირებულებებსა

და პრიორიტეტებს აყალიბებს. ეს ყოველივე კი, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას. ამასთან, ავტორი არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეროვნული იდენტობა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ან ძალიან ნელა ცვალებადი კონცეფციაა. პრიზელის მიხედვით, ეროვნული იდენტობები იმდენად სტაბილურია, რამდენადაც სახელმწიფოს გარშემო არსებული გარემო. უფრო კონკრეტულად, კრიტიკული მომენტები, როცა სახელმწიფოები შიდა თუ საერთაშორისო კრიზისების წინაშე აღმოჩნდებიან, მათთვის ერთგვარი "გაკვეთილის" როლს ასრულებს. შესაბამისად, ზოგჯერ მხოლოდ ერთი თაობის განმავლობაშიც კი, შეიძლება თავიდან განისაზღვროს, სახელმწიფოს იდენტობა და პრიორიტეტები და ახლიდან ჩამოყალიბდეს ქვეყნის თვით-აღქმა (Prizel, 1998, pp. 3-6).

ეს მოსაზრება განსაკუთრებით საინტერესოა უნგრეთის მაგალითის გაანალიზებისას. ვიქტორ ორბანის (რიგით მეორედ) ხელისუფლებაში მოსვლის (2010 წელი) შემდეგ უნგრეთის ეროვნული იდენტობის დისკურში წინ წამოწეულ საკითხებზე დაკვირვებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ორბანის მეთაურობით ჩამოყალიბდა ე.წ. "ახალი უნგრული იდენტობა" - სახელმწიფოს პოლიტიკურ პრიორიტეტებთან ერთად შეიცვალა ერის მიერ მისი ძირითადი ღირებულებებისა და ისტორიული გამოცდილების თვით-აღქმა.

პრიზელის მოსაზრებით, სახელმწიფოები, სადაც მტკიცე, ჩამოყალიბებული ინსტიტუტების ნაკლებობაა, რომლებიც მათ პოლიტიკურ "პერსონას" განსაზღვრავდნენ, ეროვნული იდენტობების კონსტრუირებისას უფრო მეტად კოლექტიურ მეხსიერებას ეყრდნობიან. მაგალითად, ისტორიულად, სახელმწიფოსთვის დამოუკიდებლობის ან თავისუფლების ხანგრძლივი პერიოდების არარსებობა ნიშნავს, რომ იდენტობის შეგრძნების ჩამოყალიბება სწორედ კოლექტიური მეხსიერების, ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურის ხარჯზე ხდება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი პოლონეთი და უნგრეთი ამ შემთხვევის კარგი მაგალითია (Prizel, 1998, p. 3).

ეროვნული იდენტობა არა მხოლოდ ინდივიდისა და საზოგადოების ძირითად დამაკავშირებელ ძაფს წარმოადგენს, არამედ საზოგადოების გარე სამყაროსთან

ურთიერთობის მედიანასაც. საგარეო პოლიტიკა, რომლის როლია დაიცვას ან გაამყაროს ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური ელიტისთვის მასების მობილიზებისა და პოლიტიკური ერთსულოვნების ერთგვარი ხელსაწყოა. ერთსულოვნება საზოგადოების ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. მმართველი ძალები ხშირად იყენებენ ეროვნულ იდენტობას, რათა ჩამოაყალიბონ საგარეო პოლიტიკა და ამასთანავე, ეყრდნობიან საგარეო პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით მათი ლეგიტიმაციის საფუძველს (Prizel, 1998, p. 19).

ეროვნულ იდენტობასა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას შორის ურთიერთქმედებას განიხილავს კიდევ ერთი ავტორი - რიჩარდ ლებოვი - ნაშრომში "ეროვნული იდენტობები და საერთაშორისო ურთიერთობები" (National Identities and International Relations). ავტორი, პირველ რიგში, უარყოფს ერთი, ჩამოყალიბებული სახელმწიფო იდენტობის არსებობას. მისი თქმით, რეალურად, იდენტობა თვით-იდენტიფიცირების რამდენიმე სახეს მოიცავს, რომლებიც განსხვავებული თვისებებით ხასიათდებიან და კონტექსტისა და მნიშვნელობის მიხედვით გადმოდიან წინა პლანზე. რადგანაც სახელმწიფო იდენტობებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, ყოველთვის არსებობს ერთგვარი "შეჯიბრი", თუ იდენტობის რომელი ვერსია წამოიწევს წინ. სახელმწიფოს შიგნით, განსხვავებული აქტორები ცდილობენ ქვეყანას მათ პოლიტიკურ მიზნებთან შესაბამისი იდენტიფიკაციები მოახვიონ თავს. ამას კი, ძირითადად, კოლექტიური მეხსიერებაზე გავლენის მოხდენით ახერხებენ (Lebow, 2016, p. 7). ლებოვი ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოსთან მიმართებით ტერმინ "თვით-იდენტიფიკაციას". მისი თქმით, სახელმწიფოს, როგორც ასეთს, არ აქვს თვით-იდენტიფიკაციის უნარი - "ის ლეგალური სტრუქტურა, წარმოსახვითი საზოგადოებაა და არ გააჩნია კოლექტიური ცნობიერება, რომლითაც საკუთარ თავს თუ სიტუაციებს გააანალიზებდა". სახელმწიფოს იდენტობა "თავს მოხვეულია" არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერების, არამედ მედიის, ელიტის, ეთნიკური ჯგუფების თუ საგარეო აქტორების მხრიდან (Lebow, 2016, p. 10).

წინამდებარე ნაშრომისთვის განსაკუთრებით აქტუალურია იმ სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, რომელიც რუსეთთან მიმართებით უშუალოდ პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნულ იდენტობას აანალიზებს. ამ კუთხით, მაქსიმ

სამორუკოვის საინტერესო მოსაზრებაც უნდა იქნეს განხილული. 2021 წელს გამოქვეყნებულ მოკლე სტატიაში, სახელწოდებით: "შეძლებენ ოდესმე რუსეთი და პოლონეთი ისტორიული უთანხმოებების გადალახვას?" (Can Russia and Poland Ever Overcome Their Historical Differences?) ავტორი ირწმუნება, რომ ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთუნდობლობას ისტორიული კონტექსტის გარეშე ვერ გავიაზრებთ. სტატიაში მოკლედაა აღწერილი მეორე მსოფლიო ომის, როგორც ისტორიული მოვლენის დიდი, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობა პოლონეთისა და რუსეთის ეროვნულ იდენტობაში. თუ პოლონელები ომში განცდილ ტრავმებს მათი ეროვნული ღირსებისა და უმწიკვლობის ნიშნად აღიქვამენ, რუსებმა მეორე მსოფლიო ომისგან გამარჯვების კულტი შექმნეს. გამარჯვებისა, რომელსაც რუსეთმა დიდი მსხვერპლის ფასად მიაღწია და წარმოადგენს დადასტურებას, რომ ამ ერს ყველა მსგავსი სირთულის დაძლევის უნარი შესწევს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ისტორიული პერსპექტივიდან მხოლოდ ამ მაგალითს გვთავაზობს, ესეც საკმარისია პოლონეთის, როგორც ჩაგრული ერის თვით-აღქმის გამოსაკვეთად. 2019 წლის გამოკითხვით, პოლონელების 74%-ს სჯერა, რომ ისტორიულად, მათმა ერმა უფრო დიდი ტანჯვა გამოიარა, ვიდრე ყველა სხვამ. თვით-იდენტიფიკაცია, როგორც ჩაგრული ერი, რომელიც მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მარცხდება, თუმცა მორალურ ტრიუმფს აღწევს, პოლონეთში დღემდე პოპულარულია (Samorukov, 2021, p. 3).

რუსეთთან მიმართებით პოლონეთის ეროვნულ იდენტობის ანალიზის კუთხით მეტად მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს 2015 წლის ნაშრომი "კრემლის გრძელი ჩრდილი: პოლონეთის შიდა პოლიტიკური რეაქცია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტზე" (The long shadow of the Kremlin: Polish domestic reactions to the Russian-Ukrainian conflict). რუსეთის მიმართ პოლონეთის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის განხილვას ავტორები მეცხრამეტე საუკუნიდან იწყებენ. ჯერ კიდევ იმ პერიოდში არსებობდა გაგება, რომლის მიხედვითაც რუსული იმპერიალიზმი პოლონეთის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას საფრთხეს შეუქმნიდა. შესაბამისად, ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების განეიტრალების გზად პოლონელებს სხვა ქვეყნებთან ალიანსი ესახებოდათ. ნაშრომში მთელი რიგი ისტორიული მოვლენების (როგორც 1989 წლამდე, ისე მის შემდეგ) გაანალიზებით თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი ის კოლექტიური გამოცდილება და ისტორიული

ტრავმები, რამაც რუსეთისადმი პოლონეთის ანტაგონისტური დამოკიდებულება ეროვნული იდენტობის ნაწილად აქცია. ეს ყოველივე კი 2014 წლის ყირიმის ომზე ოფიციალური ვარშავას რეაქციამაც დაადასტურა (Kucharczyk & Fuksiewicz, 2015, pp. 102 - 105).

რაც შეეხება უნგრეთს, სტატიაში „შიდა პოლიტიკური კონტექსტი 1989 წლის შემდეგ: უნგრეთი რუსეთი და უკრაინა“ (Domestic political context since 1989: Hungary, Russia, Ukraine) ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ისტორიულად რუსეთთან კონფლიქტური ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, უნგრეთის პოლიტიკურ სივრცეში თანამედროვე პრო-რუსული განწყობები ძირითადად რადიკალ და ზომიერ მემარჯვენე პარტიებში შეინიშნება და ეფუძნება ტურანიზმის ტრადიციასა და რუსეთისადმი ულრტა-მემარჯვენეების ტრადიციულად პოზიტიურ დამოკიდებულებას (Gyori, et al., 2015, p. 52).

ნაშრომი “პოპულისტების საგარეო პოლიტიკა: ლიბერალიზმი პოლონეთსა და უნგრეთში” (The Foreign Policy of Populists in Power: Contesting Liberalism in Poland and Hungary) უფრო თანამედროვე პერიოდის მნიშვნელოვან ანალიზს გვთავაზობს. ავტორების მიხედვით, მეხსიერების პოლიტიკაზე განსაკუთრებული აქცენტი, ევროკავშირის შიგნით ცენტრი-პერიფერიის უთანასწორობაზე ხაზგასმა თუ ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკური ნაბიჯები PiS-ისა და “ფიდესის” ლიდერების საშინაო და საგარეო პოლიტიკაშია ასახული. თუმცა, მიუხედავად ამ მსგავსებისა, ორი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მთლიანად განსხვავდება რუსეთთან მიმართებით. (Varga & Buzogany, 2021, pp. 1449 - 1452).

ა ატილას 2016 წლის სტატიაში ორი ქვეყნის თანამედროვე ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო დასკვნებია გაკეთებული. ავტორის აზრით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ისტორიის რეკონსტრუქციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია: რეგიონის სახელმწიფოების ე.წ “თავდაცვითი ეროვნული იდენტობა” ისტორიული მარცხებიდან და შეწყვეტილი/დაუმთავრებელი “სახელმწიფოს შენების პროცესიდან” მოდის. ამ ისტორიულმა გამოცდილებებმა ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე შავ-თეთრი ნარატივების გაჩენას შეუწყო ხელი, რაც რეპრესიულ გარე “მტრებთან” თავისუფლებისთვის მუდმივ ბრძოლას გულისხმობს.

პოლონეთისა და უნგრეთის ნახევრად-ავტორიტარულ რეჟიმებში, ტრადიციული ისტორიული ნარატივების მანიპულაციით წარსულის ხელახლა რეკონსტრუირების მცდელობამ წარმოშვა ისტორიული ადგილების, მონუმენტების, რიტუალებისა და თარიღების მნიშვნელობის ხელახლა გადააზრების პროცესი (Attila, 2016, pp. 33 - 34).

უნგრეთში ნაციონალისტურ-პოპულისტურმა "ფიდესმა", ტრადიციონალისტური ისტორიული ნარატივი ააგო "დიდებულ წარსულზე, რომელიც არასდროს ყოფილა" - "დიადი უნგრეთი", რომელიც ქრისტიანულ ევროპას საუკუნეების განმავლობაში იცავდა, მაგრამ დიდი დამპყრობლების მსხვერპლად იქცა. გარე ძალების წინააღმდეგ თავისუფლებისთვის ბრძოლა უნგრეთისთვის ყოველთვის გახლდათ ერთ-ერთი მთავარი იდეა. შესაბამისად, „ფიდესისთვის" შედარებით მარტივი გახლდათ გარე ძალებზე დამოკიდებულების ნარატივი ვენა-მოსკოვ-ბრიუსელის ისტორიულ ტრაექტორიაზე აეგო. ეს იდეები გამყარებულია "ტრიანონის ტრავმითა" და დასავლელი ძალების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იალტის "ღალატით" (Attila, 2016, p. 34).

2022 წლის უკრაინის ომში პოლონეთისა და უნგრეთის პოზიციონირებაზე შექმნილი აკადემიური ნაშრომების სიმცირის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვარჩიოთ "პოპულისტური საგარეო პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: პოლონეთი, უნგრეთი და უკრაინის კრიზისის შოკი" (Populist Foreign Policy in Central and Eastern Europe: Poland, Hungary and the Shock of the Ukraine Crisis). ნაშრომში, ავტორები უკრაინის ომის მიმართ პოლონეთისა და უნგრეთის პოზიციონირებას შიდა პოლიტიკური განზომილებით, უფრო კონკრეტულად კი - პოპულისტური რეჟიმების ხასიათით ხსნიან. მათი თქმით, ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები სათავეს არა მხოლოდ რეჟიმების პოპულისტური ხასიათიდან, არამედ შიდასახელმწიფოებრივი და ევროპული კონტექსტიდანაც იღებს. უკრაინის მიმდინარე ომი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის წარმოადგენს "ყველაზე დიდ კრიზისს კომუნიზმის დამხობის შემდეგ". სწორედ ამ კრიზისის მასშტაბურობამ გამოკვეთა განსხვავებები პოლონეთისა და უნგრეთის (იქამდე თითქმის თანმიმდევრულ) საგარეო პოლიტიკურ პოზიციებში. უფრო კონკრეტულად, პოლონეთის მთავრობისთვის პოპულისტური იდეოლოგია წარმოადგენს იმ ნორმებისა და ღირებულებების ერთგვარ გზამკვლევს, რასაც

პოლონური სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს. ამ კუთხით, გადაწყვეტილებების მიღებისას, ის ბევრად უფრო (თვით)შეზღუდულია, რადგან იდეოლოგიური თანმიმდევრულობა მართებს. ამის საპირისპიროდ, უნგრული პოპულიზმისთვის იდეოლოგიური ელემენტები მხოლოდ „ფიდესის“ მმართველობის გამართლების ფუნქციას ასრულებს. ავტორები მიიჩნევენ, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი იდეოლოგიურად ნაკლებად შეზღუდულია და შესაბამისად, განსხვავებული ნარატივების რეკონსტრუქციისა და ოპორტუნისტული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის თავისუფლება აქვს (Kopper, et al., 2023, pp. 90-92).

საინტერესოა, რომ წინამდებარე ნაშრომის საკვლევი თემატიკის მსგავსად, ზემოხსენებული ავტორებიც უსვამენ ხაზს შეუსაბამობას მიმდინარე კონფლიქტის მიმართ პოლონეთისა და უნგრეთის საპასუხო რეაქციებში. თუმცა, ისინი ამის მიზეზად “აქტორების განსხვავებულ იდეოლოგიურ სიღრმეებს” ასახელებენ. მათი მსჯელობა ძირითადად მხოლოდ მმართველი ძალების პოპულისტურ ბუნებას უკავშირდება და ყურადღების მიღმა ტოვებს უფრო ღრმა, ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომში გაკვრითაა საუბარი სხვა სახელმწიფოების მიმართ არსებულ “ადგილობრივ გამოცდილებაზე”, თუმცა, უფრო სიღრმეებში ჩასვლას ავტორები ერიდებიან (Kopper, et al., 2023, pp.93-106). მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოების (განსაკუთრებით უნგრეთის) პოზიციონირებაში, “ფიდესისა” და “PiS”-ის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ნაშრომში ისტორიული გამოცდილებას და ეროვნული იდენტობას არასათანადო ყურადღება ეთმობა. ამ ფაქტორების გათვალისწინება სიღრმისეული ანალიზისთვის აუცილებელია, ამიტომაც, წინამდებარე ნაშრომი პოლონეთისა და უნგრეთის მოცემულ შემთხვევას სწორედ ამ ჭრილში განიხილავს.

თავი II. თეორიული ჩარჩო

საერთაშორისო ურთიერთობების სხვა, მეინსტრიმულ სკოლებთან შედარებით, კონსტრუქტივიზმი, როგორც თეორია შედარებით ახალი მიდგომაა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივიზმი ბევრი მნიშვნელოვანი ინტელექტუალური მოაზროვნის იდეებს ეყრდნობა, კონსტრუქტივიზმმა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში პოპულარობა ცივი ომის დასრულების შედეგ მოიპოვა (ტარასაშვილი, 2021, გვ. 46).

ნორმები, წესები და იდენტობები კონსტრუქტივიზმის მთავარი ინტერესის საგანია. თეორიის ძირითადი კონცეფციები და დაშვებები შეიძლება სამ არგუმენტად შეჯამდეს:

1. კონსტრუქტივისტებს სახელმწიფოთა იდენტობებისა და ინტერესების ჩამოყალიბების პროცესი წინა პლანზე გადმოაქვთ, ნეორეალისტებისა და ნეოლიბერალებისგან განსხვავებით, რომელთაც ისინი წინასწარ განსაზღვრულად მიაჩნიათ (Viotti & Kauppi, 2012, pp. 277 - 278). იდენტობა არის აგენტის მიერ საკუთარი თავისა და როლის აღქმა სოციალურ სამყაროში. თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგენტების ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გააზრებას, რადგან სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ იდენტობის ხასიათს. სახელმწიფოების იდენტობები და ინტერესები გაზიარებული იდეებით კონსტრუირდება და არაა წინასწარ დადგენილი. სწორედ ამ იდეების საშუალებით ურთიერთობენ სახელმწიფოები ერთმანეთთან და განსაზღვრავენ ვინაა „მეგობარი“ და ვინ - „მტერი“ (Viotti & Kauppi, 2012, pp. 293 - 294). კონსტრუქტივისტებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოები არა მხოლოდ რაციონალური და წინასწარგანსაზღვრული “შედეგების ლოგიკით” მოქმედებენ, არამედ “შესაბამისობის ლოგიკითაც” - ანუ ცდილობენ მისდიონ წესებს, რომლებიც მათ მიერ აღქმულ კონკრეტულ თვით-იდენტობას შეესაბამება (ფლოქჰარტი, 2012, გვ. 16-19).
2. კონსტრუქტივისტები ფოკუსირდებიან როგორც მატერიალურ, ისე იდეურ სტრუქტურაზე, ნორმებისა და წესების მნიშვნელობაზე. ამ ხედვით,

მატერიალური თავის მნიშვნელობას მხოლოდ ცოდნისა და არსებული პრაქტიკის აღქმის საფუძველზე იღებს. სწორედ ნორმები და წესები განსაზღვრავენ, თუ რომელი ქცევაა მისაღები და რომელი - არა (ფლოქჰარტი, 2012, გვ. 13-15).

3. კონსტრუქტივიზმი სამყაროს აღიქვამს, როგორც სოციალურად კონსტრუირებულს, რომელიც მუდმივად ცვლილების პროცესშია და არაა წინასწარგანსაზღვრული. ეს მოსაზრება ყველაზე უკეთ გადმოცემულია ალექსანდრ ვენდტის კლასიკად ქცეულ ესეში "ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ". საერთაშორისო სისტემის ხასიათი განსაზღვრულია იმ მოლოდინებითა და რწმენებით, რომლებიც სახელმწიფოებს ერთმანეთის მიმართ აქვთ (Viotti & Kauppi, 2012, p. 279).

როგორც ამ მახასიათებლებიდან გამოჩნდა, კონსტრუქტივისტული სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდენტობის ცნებას. იდენტობა არის საკუთარ თავთან დაკავშირებული მეტ-ნაკლებად სტაბილური მოლოდინებისა და გაგების ერთიანობა, *"მე",* რომელიც კონსტრუირდება *"სხვასთან"* ინტერაქციის შედეგად. სახელმწიფოებს შეიძლება რამდენიმე იდენტობა ჰქონდეთ, რომლებიც დროისა და კონტექსტის მიხედვით წინ წამოიწევა. შესაბამისად, იდენტობა წინასწარ მოცემული, უცვლელი მახასიათებელი არაა - ისევე ყალიბდება, როგორც სახელმწიფოს ინტერესები. იდენტობები განსაზღვრავენ სახელმწიფოთა ინტერესებს, შესაბამისად, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ამხსნელ ფაქტორს ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზისას. სახელმწიფოებს ინტერესების წინასწარგანსაზღვრული ერთიანობა არ აქვთ; ინტერესებს ისინი სიტუაციების მიხედვით განსაზღვრავენ (Bozdaglioglu, 2003, pp. 18 - 19). კონსტრუქტივისტებისთვის იდენტობა განისაზღვრება მასთან თავსებადი განმეორებადი ქმედებების ერთიანობით. იდენტობის განსაზღვრისთვის ასევე უნდა დავაკვირდეთ დისკურსსა და ხშირად გამოყენებულ ტერმინებს, ლიდერებისა და დიპლომატების სალაპარაკო ენას, მათ მიერ გაჟღერებულ პოლიტიკურ მოწოდებებს. (Viotti & Kauppi, 2012, pp. 287 - 288).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლა ნაშრომის საკვლევი თემატიკისთვის შესაბამის ჩარჩოს წარმოადგენს. უკრაინის ომში

უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებულ პოზიციონირებას ვერ ხსნის რაციონალური არჩევანის თეორია და "შედეგების ლოგიკა". ეს კი უფრო სიღრმისეული ანალიზის საჭიროებას აჩენს და გვაფიქრებინებს, რომ ამ თავსატეხის პასუხი სწორედ ცვალებად იდენტობებსა და ინტერსუბიექტურად კონსტრუირებულ თვით-აღქმაში უნდა ვეძიოთ.

თუმცა, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური პრეფერენციებისა და ინტერესების გაანალიზება საშინაო და საერთაშორისო დონეების თანაბრად გათვალისწინებას საჭიროებს. იდენტობის ჩამოყალიბების შემდეგ, სახელმწიფოები მის ინსტიტუციონალიზებას ორივე განზომილებაში ახდენენ. შიდა დონეზე ეს გამოიხატება მითებისა და სპეციალური ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში. ამ კუთხით, ალექსანდრ ვენდტის სტრუქტურული კონსტრუქტივიზმი, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო განზომილებაზე ფოკუსირდება სრულფასოვანი ანალიზის საშუალებას არ იძლევა (Bozdaglioglu, 2003, p. 24). ამიტომაც, ნაშრომში გამოყოფილი ცვლადების ოპერაციონალიზაცია სწორედ კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის - ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის თეორიით მოხდება, რომელიც ორივე განზომილებას აერთიანებს.

ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმის სხვა მიმდინარეობისგან (სტრუქტურული და ერთეული დონის) განსხვავებით, ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი უფრო კონკრეტული, ისტორიაზე ფოკუსირებულია და თავს არიდებს სისტემურ თეორეტიზაციას. ის საშინაო და საერთაშორისო სტრუქტურებისა და პროცესების დაკავშირებას ცდილობს და მათ ერთი, გლობალური სოციალური წესრიგის ნაწილად წარმოაჩენს. ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის ორი მთავარი წარმომადგენელი - ფრედერიკ კრატოჰვილი და ჯონ რაგი საშინაოსა და საერთაშორისო განზომილებებს შორის ამ დაყოფას ხედავენ, როგორც უნიკალურ ისტორიულ კონსტრუქციას, რომელიც სუვერენული სახელმწიფოების გარშემო აგებული თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის მთავარი მახასიათებელია. ორივე ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებენ შიდა და საერთაშორისო ფაქტორები სისტემაში წესრიგის განმსაზღვრელი წესების ჩამოყალიბების პროცესში და იყენებს ჰოლისტურ

კონსტრუქტივისტულ პერსპექტივას როგორც სისტემების, ასევე სისტემური ცვლილებების ასახსნელად (Price & Reus-Smit, 1998, p. 269).

ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი მისი ორმხრივობაა: თუ სისტემური და ერთეული დონის კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო და საშინაო განზომილებებს შორის არსებულ დიქოტომიას უღრმავდება, ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი ამ ორს შორის არსებული უფსკრულის ამოვსებას ცდილობს. სახელმწიფოთა იდენტობისა და ინტერესების განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორის გაანალიზებისთვის ჰოლისტური მიდგომა სისტემურ და საზოგადოებრივ განზომილებებს ერთ ანალიტიკურ პერსპექტივაში მოიცავს, რომელიც თავის თავში როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ფაქტორებს აერთიანებს (Reus-Smit, 2005, p. 201).

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომში მეტი ყურადღება სახელმწიფოთა "საშინაო", იგივე ეროვნულ იდენტობას მიენიჭება, საერთაშორისო განზომილება კი შუალედური ცვლადის - საგარეო საფრთხის აღქმის კონტექსტში გაანალიზდება.

თავი III. უკრაინის ომი, როგორც სტრატეგიული გამოწვევა პოლონეთისა და უნგრეთისთვის

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ მეზობელ უკრაინაზე განხორციელებული სამხედრო შეტევით, ევროპის კონტინენტზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის მოვლენის შედეგად ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტი მთლიანად ტრანსფორმირდა და შეიცვალა სახელმწიფოთა პოლიტიკური დღის წესრიგი. ჯერ კიდევ მიმდინარე უკრაინის ომმა მსოფლიოში ისეთ ცვლილებებს დაუდო სათავე, რასაც 2022 წლამდე ძნელად თუ წარმოვიდგენდით.

უკრაინის ომი სტრატეგიულ გამოწვევად იქცა პოლონეთისა და უნგრეთისთვისაც. თუმცა, სრულიად სხვადასხვა მიზეზით. ეს სახელმწიფოები 1989 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ახლო პარტნიორებად და "გულითად მეგობრებად" ითვლებოდნენ. ამ ურთიერთობებს ერთი მხრივ, მმართველ რეჟიმებს შორის სიახლოვე, ხოლო მეორე მხრივ, საერთო (უახლესი) ისტორიული წარსული განაპირობებდა. პოლონური "კანონი და სამართლიანობა" და უნგრული "ფიდესი" მემარჯვენე-პოპულისტური იდეოლოგიით, ქრისტიანული ღირებულებებით, ანტი-ლიბერალური, ანტი-მიგრანტული თუ ჰომოფობიური რიტორიკითა და ევროსკეპტიკური ნარატივებით ერთმანეთს ჰგავს. ორი სახელმწიფო ურთიერთმხარდაჭერით ჯერ კიდევ 2012 წლიდან ახერხებდა ევროკავშირის შიდა სანქცირების მექანიზმების თავიდან არიდებას; პოლონეთსა და უნგრეთს, ევროკავშირში გაწევრიანებამდე და მას შემდეგაც, ერთმანეთისგან "პოლიტიკის შესწავლის" დიდი გამოცდილებაც აქვთ. ეს ტენდენცია ვიქტორ ორბანისა და იაროსლავ კაჩინსკის დროსაც გაგრძელდა. მეტიც, როცა 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოწინააღმდეგე „სამოქალაქო პლატფორმამ" გაიმარჯვა, იაროსლავ კაჩინსკი თავის მხარდამჭერებს შემდეგ არჩევნებზე აბსოლუტური უმრავლესობით გამარჯვებას დაჰპირდა, რასაც „ბუდაპეშტი ვარშავაში" უწოდა (Kucharczyk & Fukseiwicz, 2015, p. 107). ორმხრივი იმიტაცია შიდა პოლიტიკურ განზომილებასაც მოიცავს, რასაც პოლონეთის მიერ უნგრეთისგან მთელი რიგი ანტიდემოკრატიული პრაქტიკებისა და რიტორიკის გადმოღებაც ადასტურებს (Kopper, et al., 2023, p. 90).

ამ პრაქტიკებს შორისაა ისტორიული ტრავმებითა და კოლექტიური მეხსიერებით მანიპულაცია, რასაც ორივე მმართველი პარტიის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. "ტრიანონის ტრავმას", მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიებს, სუვერენიტეტის დაკარგვას და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ "ტრანზიციის პერიოდის" სირთულეებს ორბანიც და კაჩინსკიც შესანიშნავად იყენებენ უნგრეთისა და პოლონეთის ეროვნული იდენტობების სასურველი ასპექტების წინ წამოსაწევად, რითაც თავიანთ პოლიტიკურ დღის წესრიგზე ასხამენ წყალს (Kowal, 2021).

ამ პარტიების ბოლოდროინდელი ელექტორალური წარმატება ევროპაში მიმდინარე დემოკრატიული უკუსვლის ტენდენციის ერთგვარი გამოძახილია. 2015 წლის ანტიმიგრანტული ტალღის მედროშეებად ჩამოყალიბებულ პოლონეთსა და უნგრეთში დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიამ ევროკავშირისთვისაც კი კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და 2017 წელს პოლონეთის, ხოლო 2018 წელს უნგრეთის წინააღმდეგ ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევის გამო მეშვიდე მუხლის ამოქმედება გამოიწვია (Holesch & Kyriazi, 2022). როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წელს ამ სახელმწიფოებმა ასევე ერთად დაბლოკეს ევროკავშირის კოვიდ-19-სგან დაზარალებული ეკონომიკების აღდგენის გეგმა, რადგან თანხის გამოყოფა სახელმწიფოების მიერ კანონის უზენაესობის დაცვასთან იყო მიბმული (Schmitz, 2020).

მიუხედავად ამ იდეოლოგიური და პრაგმატული პარტნიორობისა, უნგრეთ-პოლონეთის ურთიერთობებში რუსეთის საკითხი ერთგვარ გამყოფ ხაზს ყოველთვის წარმოადგენდა. ეს პრობლემა ჯერ კიდევ 2014 წლის ყირიმის ომის დროს გამოიკვეთა, ხოლო უმაღლეს წერტილს 2022 წლის უკრაინის ომის პერიოდში მიაღწია. ჯერ კიდევ 2014 წელს პოლონეთი ღიად აკრიტიკებდა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და მის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას ითხოვდა. ყველაზე ხმამაღლა სწორედ პოლონეთი მოუწოდებდა NATO-ს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების შესაძლებლობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. პოლონურ პოლიტიკურ დისკურსში არსებობდა კონსენსუსი, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის ესკალაციის მთავარი მიზეზი კრემლის აგრესიული პოლიტიკა გახლდათ. ამ კონსენსუსის გამოხატულებად, 2015 წლის მარტში სეიმმა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო, სადაც დაიგმო რუსეთის სამხედრო ქმედებები. რაც შეეხება

უნგრეთს, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მსგავსად, უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას ისიც ღიად უჭერდა მხარს, 2014 წლის შემდეგ ეს მიდგომა მეტ-ნაკლებად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კრემლის მიმართ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას ფორმალურად მიჰყვებოდა, ორბანი მაშინაც რუსული სანქციების წინააღმდეგ გამოდიოდა და აცხადებდა რომ ეს ნაბიჯი უნგრეთის ეროვნულ ინტერესებს აზარალებდა. 2015 წლის თებერვალში, ბუდაპეშტში, პუტინისა და ორბანის შეხვედრამ უნგრეთის პოზიციას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. საინტერესოა, რომ ამ ნაბიჯის საპასუხოდ, იმავე თვეს, ვიქტორ ორბანის ვარშავაში ვიზიტისას იაროსლავ კაჩინსკიმ მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა და უნგრეთის პრემიერის პრო-რუსული პოზიცია დაგმო (Gyori, et al., 2015, pp. 56 – 58).

მიუხედავად იმისა, რომ ყირიმის მოვლენების გამო გაჩენილ დაძაბულობას ორი ქვეყნის „ილიბერალური ალიანსისთვის“ მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეუქმნია, უკვე 2022 წლის უკრაინის ომმა უფრო აშკარა გახადა, რომ რუსეთიდან მომავალი საფრთხეების შეფასება უნგრეთსა და პოლონეთში ფუნდამენტურად განსხვავდება. მიმდინარე ომის ერთი წლის თავზე, უკრაინისადმი გამოცხადებული უპრეცედენტო მხარდაჭერით პოლონეთი ევროპაში მოწინავე პოზიციაზე გახლდათ. პოლიტიკური და სამხედრო დახმარების გარდა, პოლონეთი ყველაზე მეტ (1.3 მლნ) უკრაინელ მიგრანტს აძლევს თავშესაფარს (Kuzio, 2023). ამის ფონზე, უნგრეთის პოზიციონირება სრულიად განსხვავებულ სურათს გვთავაზობს. ევროკავშირის სანქციების ყველა პაკეტის მხარდაჭერის მიუხედავად, ორბანი მუდმივად ცდილობდა შეესუსტებინა სანქციების სიმკაცრე და მოსკოვის პატრიარქ კირილის სანქცირებულთა სიაში შეყვანაც კი დაბლოკა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი მუდმივად აპელირებს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობით და აკრიტიკებს სანქციების ეფექტურობას. უნგრეთს მონაწილეობა არ მიუღია უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაგზავნაში, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი მოსკოვსა და მინსკში ბუდაპეშტის პოზიციონირებას კიდევ უფრო აშკარას ხდის (Ciobanu & Inotai, 2023).

2022 წლის უკრაინის ომმა არა მხოლოდ გააჩინა ბზარი პოლონეთ-უნგრეთის ურთიერთობებში, არამედ გამოკვეთა განსხვავებები ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს შორის და აჩვენა, რომ რეჟიმებს შორის არსებული მსგავსებების

მიუხედავად, ამ სახელმწიფოების ქცევის განსაზღვრაში ეროვნული იდენტობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ერთი მხრივ, გამოჩნდა, რომ რუსეთი პოლონეთის ისტორიულ მეხსიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რამაც, თავის მხრივ პოლონელი ხალხის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია. მეორე მხრივ კი, ბოლო ორ ათწლეულში, ფიდესის მმართველობისას უნგრეთის ეროვნულ იდენტობაში წინ წამოწეული საკითხები და რუსეთის მიმართ გატარებული პრაგმატული პოლიტიკა ოფიციალურ ბუდაპეშტს ვარშავასგან მეტად აშორებს.

თავი IV. რუსეთი, როგორც „საფრთხე“ პოლონეთის ეროვნულ იდენტობაში

როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, ისტორიული გამოცდილება და კოლექტიური მეხსიერება სახელმწიფოთა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. თავის მხრივ, ეროვნული იდენტობა ასახვას პოვებს ქვეყნების მიერ საგარეო პოლიტიკური საფრთხეების აღქმაში, რაც საბოლოო ჯამში, განაპირობებს კიდეც საერთაშორისო ასპარეზზე მათ ქცევას. განსახილველ შემთხვევაში, ამ ჯაჭვის პირველ რგოლს სწორედ პოლონეთის ეროვნული იდენტობა წარმოადგენს, რომელიც, რუსეთთან მიმართებით, ტრავმული ისტორიული გამოცდილებებით ჩამოყალიბდა.

პოლონეთის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა მისი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ყოველთვის წარმოადგენდა გამოწვევას. გერმანიისა და რუსეთის შესახებ პოლონეთის „დამფუძნებელი მამების“ - ოუზეფ პილსუდსკისა და რომან დმოვსკის შორის არსებული დებატები ამ ეროვნული დილემის კარგი მაგალითია - პირველი პოლონეთს რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ „ქრისტიანობის ბურჯად“ აღიქვამდა და მიიჩნევდა, რომ მოსკოვი, დემოკრატიული ტრანსფორმაციის შემდეგაც კი, „იმპერიულ შოვინისტურ ძალად“ დარჩებოდა; დმოვსკი კი გერმანიის შესაკავებლად რუსეთთან ალიანსს ემხრობოდა. თუმცა, ამ განსხვავებების მიუხედავად, მსოფლიო ომებს შორის პერიოდის პოლონურ ელიტაში საყოველთაოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ პოლონეთი ქრისტიანულ ევროპაში რუსულ-ბოლშევიკური საფრთხის შეჩერებისა და აღმოსავლეთით მდებარე პატარა სახელმწიფოების კომუნისტური საფრთხისგან დაცვისთვის „დიდი ძალის“ სტატუსს იმსახურებდა (Prizel, 1998, pp. 68 – 71). გერმანიასა და რუსეთს შორის მოქცეული პოლონეთი მუდმივად ცდილობდა, სტრატეგიული ალიანსების გაბმით ეროვნული ინტერესების დაცვას. თუმცა, როგორც ისტორიამ აჩვენა, ამ ალიანსების უმრავლესობა არასანდო გამოდგა, რამაც, პოლონურ კოლექტიურ მეხსიერებაში, თითქმის სამასწლოვანი დაუცველობისა და გარე აგრესიისადმი მოწყვლადობის განცდა გააჩინა (Bieniek, 2006, p. 39). პოლონეთის ტრავმული ისტორია და სუსტი სამოქალაქო საზოგადოება გახდა მიზეზი ქვეყანაში “გარე საფრთხის“ ტრადიციის

გაჩენისა, რაც პოლონეთის ეროვნული იდენტობის საკვანძო ელემენტად იქცა (Prizel, 1998, p. 25).

ისტორიულად, ამ საფრთხის მთავარ წყაროს პოლონეთისთვის სწორედ რუსეთი წარმოადგენდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იწყება, როცა 1863 წლის „იანვრის აჯანყების“ ჩახშობით, რუსეთის იმპერიამ პოლონელების მიერ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას საბოლოოდ მოუღო ბოლო და აჯანყების უამრავი მონაწილე დახვრიტა, დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა (სნაიდერი, 2021, გვ. 5). ციმბირი, თავის მხრივ, პოლონური ნაციონალიზმის მნიშვნელოვან სიმბოლოდ იქცა. იქ გადასახლებული, ძირითადად პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კაცების, ქალებისა და ბავშვების რაოდენობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ციმბირი “მეორე პოლონეთადაც” კი იწოდებოდა, ხოლო სიტყვა *“Sybirak”* პოლონურ ენაში პატივისცემის გამომხატველად ტერმინად დამკვიდრდა (Gardner, 1929, p. 752).

ისტორიული ტრავმები მეოცე საუკუნეშიც მრავლად იყო. გერმანიასა და რუსეთს - “ტყუპ მტრებს“ შორის მოქცეული პოლონეთის შიდა პოლიტიკურ დისკურსში მუდამ დომინირებდა ამ ორი ძალის ერთდროული თავდასხმის შიში (Prizel, 1998, p. 70). მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი და 1939 წლის საბჭოთა შემოჭრა სწორედ ამ შიშების გამართლება აღმოჩნდა (Kucharczyk & Fukseiwicz, 2015, p. 103). *(როგორც შემდგომში, პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ანალიზისას გამოჩნდება, ეჭვები გერმანულ-რუსული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ თანამედროვეობაშიც პოვებს გამოხატულებას “ჩრდილოეთის ნაკადი-2” მილსადენის საკითხთან დაკავშირებით).* მეორე მსოფლიო ომი პოლონეთის კოლექტიურ მეხსიერებაში დიდი ტრავმისა და „ღალატის“ გამოხატულებაა - 1940 წლის კატინის ტრაგედია, 1944 წლის ვარშავის აჯანყება, საბჭოთა კავშირის გავლენის ბანაკში ნების საწინააღმდეგოდ გაერთიანება და დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვა ამ ისტორიული გამოცდილების მხოლოდ ზოგადი ანარეკლია.

კატინის ტრაგედია თანამედროვე პოლონურ-რუსულ ურთიერთობებში ყოველთვის დიდი დაძაბულობის და უთანხმოების წყაროს წარმოადგენდა. 1940 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა საიდუმლო პოლიციის, იგივე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (NKVD) მიერ კატინის ტყეში 21,768 პოლონელის დახვრეტა ცნობილია,

როგორც „კატინის ხოცვა-ჟლეტა“. ეს მოვლენა კომუნისტური პოლონეთის პოლიტიკურ მეხსიერებაში ერთ-ერთ „ტაბუ“ თემად იყო მიჩნეული - ოფიციალური ვერსიით კატინის ტრაგედია გერმანელებს მიეწერებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნებული დოკუმენტებით NKVD-ს ბრალეულობა დადასტურდა, კატინის ტრაგედია პოლონეთის კოლექტიურ მეხსიერებაში ახალი ძალით დაბრუნდა. კატინი თანამედროვე პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული იდენტობის ნაწილად იქცა. 2000 წელს ტრაგედიის ადგილას მემორიალური კომპლექსი გაიხსნა; 2005 წელს პოლონური ოპოზიციის წარმომადგენლები სწორედ კატინის საკითხს იშველიებდნენ იმის არგუმენტად, თუ რატომ არ უნდა დასწრებოდა პრეზიდენტი კვასნევსკი „გამარჯვების დღის აღლუმს“ მოსკოვში; საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო 2007 წელს გამოსულმა ფილმმა „კატინი“; დაზარალებული ოჯახების საჩივრები შევიდა „ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში“; 2010 წელს კი პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის დაღუპვამ, რომელიც სწორედ კატინის ტრაგედიის 70 წლისთავისთვის მიძღვნილ ღონისძიებაზე მიფრინავდა ეს მტკივნეული საკითხი ხელახლა წამოჭრა. კატინის ფუნდამენტურ მნიშვნელობას პოლონურ-რუსულ ურთიერთობებში ნათლად აჩვენებს თავად ლიდერების გამოსვლებიც: 2009 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 60 წლის იუბილეზე შეკრებილ ევროპელ ლიდერებს ვლადიმერ პუტინმა მიმართა და კატინის ტყეში დახვრეტილი პოლონელების ბედი 1919 – 20 წლებში პოლონეთ-რუსეთის ომში დაღუპულ საბჭოთა ჯარისკაცებს გაუთანაბრა. თანამედროვე პოლონურ ნარატივში კი, მეორე მსოფლიო ომში პოლონეთზე თავდასხმასა და ქვეყნისადმი მიყენებულ ზიანში გერმანიასა და საბჭოთა კავშირს თანაბრად მიუძღვით ბრალი; ამის საპირისპიროდ, რუსეთი „წითელ არმიას“ ევროპის ფაშიზმისგან განმათავისუფლებელ ძალად ხედავს, ხოლო კატინის ტრაგედიას - უბრალოდ სტალინიზმის გადაცდომის კიდევ ერთ გამოხატულებად (Fredheim, 2014, pp. 1166 – 1167).

რუსეთთან მიმართებაში ეს ტრავმული მემკვიდრეობა იმის კარგი ილუსტრაციაა, თუ როგორ შეუძლია კოლექტიურ მეხსიერებას და შესაბამისად ჩამოყალიბებულ ეროვნულ იდენტობას, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემქმნელებსა და საგარეო პოლიტიკური საფრთხეების აღქმაზე. 1989 წლის შემდეგ

პოლონეთის მმართველი ძალების მიერ რუსეთთან ურთიერთობაში ერთგვარი განგრძობითობის დანახვა შეიძლება - ფაქტობრივად ყველა მთავრობა, მიუხედავად კოოპერაციის სუსტი თუ შედარებით აქტიური მცდელობებისა, რუსეთის ფედერაციას საფრთხედ აღიქვამდა. აღმოსავლეთიდან მომავალი ამ საშიშროების ფონზე კი, ქვეყნის NATO-ში ინტეგრაცია კრიტიკულ მნიშვნელობას იძენდა - ევროატლანტიკური ალიანსის წევრობა პოლონეთს უსაფრთხოების უმთავრეს გარანტიად ესახებოდა. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით გაამძაფრა ისეთმა თანამედროვე მოვლენებმა, როგორიც იყო რუსეთ-საქართველოს 2008 და რუსეთ-უკრაინის 2014 წლის ომები. ორივე კონფლიქტში პოლონეთი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, რომელიც განსაკუთრებით ხმამაღლა გამოხატავდა საქართველოსა და უკრაინისთვის მხარდაჭერას და რუსეთისადმი მკაცრი საპასუხო ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა (Reeves, 2021, pp. 288 - 289). 2010 წლის სმოლენსკის ავიაკატასტროფამ კი, რომელსაც პოლონეთის იმ დროინდელი პრეზიდენტი კაჩინსკი და 100-მდე ოფიციალური პირი შეეწირა, პოლონურ-რუსულ ურთიერთობაში კიდევ ერთი ბზარი გააჩინა. PiS-ის ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი, მემარჯვენე ინტელექტუალებსა და მედიასთან ერთად, აქტიურად აპელირებდა, რომ ეს ტრაგედია რუსული სპეცსამსახურებისა და პოლონეთის ლიბერალური პოლიტიკური ფრთის მიერ ერთობლივად იყო დაგეგმილი (Varga & Buzogány, 2021, p. 1455).

მეოცე საუკუნის მოვლენების ისტორიულ მეხსიერებაში ასახვა თანამედროვე პოლონეთის ეროვნული იდენტობის რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს თანაბრად ეხება როგორც ეროვნული გამარჯვებების, ისე ისტორიულად ტრავმულ ეპიზოდებს. პოლონეთში არსებული ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი, პილეცკის ინსტიტუტი, „ვარშავის აჯანყების მუზეუმი“, „მსხვერპლთა სასაფლაოები“ - ეს მხოლოდ რამდენიმეა სახელმწიფოს მიერ შექმნილ დაწესებულებებს შორის, რომლებიც ტოტალიტარიანიზმის, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდის, მეორე მსოფლიო ომის მოვლენების, პოლონეთის ისტორიული გამოცდილებისა თუ მეხსიერების პოლიტიკის შესწავლის კუთხით მუშაობს (ხუციშვილი, 2020).

თავი V. “ახალი უნგრული იდენტობა” და რუსეთისკენ შემობრუნება

სახელმწიფოს ეროვნული იდენტობა მუდმივად ცვალებადი, რეკონსტრუირებადი კონცეფციაა. ქვეყნის შიდა პოლიტიკური და საგარეო უსაფრთხოების პრიორიტეტები შეიძლება განსხვავებულად დალაგდეს იმის მიხედვით, თუ იდენტობის რომელი ასპექტები იქნება წინ წამოწეული. სახელმწიფოს ეროვნული იდენტობა საკუთარი ისტორიის მისეული ინტერპრეტაციით ყალიბდება - კოლექტიური მეხსიერებით, დროთა განმავლობაში დაგროვილი რწმენებითა და აღქმებით. ინდივიდების მსგავსად, კოლექტივის მეხსიერება არათანმიმდევრული და შერჩევითია. ეროვნული იდენტობა იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ ფლობს მეურვეობას სახელმწიფოს კოლექტიურ მეხსიერებაზე. მეურვეობის შეცვლასთან ერთად, ასევე იცვლება წარსულის აღქმა და შესაბამისად, ეროვნული ინტერესების პარამეტრებიც. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, სადაც ისტორიული მეხსიერება ასე მნიშვნელოვანია, პოპულისტურ პარტიებს ისტორიული ნარატივის რეინტერპრეტაციითა და წარსულის მუდმივი რეკონსტრუქციით ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება შეუძლიათ (Prizel, 1998, pp. 5-8).

ამის კარგ მაგალითს სწორედ უნგრეთი და „ფიდესი“ წარმოადგენს. ამ ქვეყნის მმართველი ძალის თავისებურებებიდან გამომდინარე, უპრიანია მისი თანამედროვე ეროვნული იდენტობა სწორედ ვიქტორ ორბანისა და “ფიდესის” მიერ გატარებული პოლიტიკის კონტექსტში იქნეს განხილული. უკრაინის მიმდინარე ომში ოფიციალური ბუდაპეშტის პოზიციონირების მიზეზების სიღრმისეული ანალიზისთვის საჭიროა, გამოვკვეთოთ მმართველი ძალის მიერ უნგრეთის ეროვნულ იდენტობაში წინ წამოწეული საკითხები, ისტორიული მითები, რომლებიც პოლიტიკური დისკურსის მუდმივი ნაწილია და ამ მითებიდან შექმნილი „მეგობრებისა“ და „მტრების“ სახე.

მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ ორბანს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 1998 - 2002 წლებშიც ეჭირა, მის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციისა და თანამედროვე მმართველობის სტილის საფუძვლად მაინც 2010 წელი ითვლება, როცა ორბანმა მეორედ დაიკავა ეს თანამდებობა. ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, პოლიტიკური ელიტების მასობრივი ჩანაცვლება და მედიაზე

კონტროლის ხელში აღება ორბანის მიერ გატარებული ანტიდემოკრატიული პოლიტიკის მხოლოდ ნაწილია. პოლონეთისგან განსხვავებით, უნგრეთში სხვა პოლიტიკური აქტორები პრემიერ-მინისტრის მმართველობისთვის სერიოზულ გამოწვევას რთულად თუ წარმოადგენენ. ამ ყველაფრის ფონზე, "ფიდესის" და ორბანის მმართველობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იდენტობის პოლიტიკას. უფრო კონკრეტულად კი - *"სხვების"* საპირისპიროდ *"მე-ს"* რეკონსტრუქციის პროცესს, სადაც სწორედ მმართველი ძალა განსაზღვრავს თუ ვინ იქნება "სხვა", იგივე "საფრთხე" / "მტერი" სახელმწიფოსთვის. იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენს მმართველი ძალისთვის საფრთხეს, "სხვის" როლში შეიძლება მოგვევლინონ უმცირესობები, მიგრანტები, ევროკავშირი თუ უკრაინა. ორბანი თავს უნგრელი მოსახლეობის ერთადერთ წარმომადგენლად წარმოაჩენს და საკუთარ თავში მოქცეული ამ პოპულისტური ძალაუფლებით სწორედ ის განსაზღვრავს, თუ როგორ კონსტრუირდება სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება და ეროვნული იდენტობა - იგივე „ახალი უნგრული იდენტობა“ (Sata & Karolewski, 2020, pp. 210 - 219).

“ახალი უნგრული იდენტობა” რამდენიმე ასეთ ცენტრალურ ისტორიულ მოვლენას ეფუძნება. მათ შორის უმნიშვნელოვანესი გახლავთ ე.წ “ტრიანონის ტრავმა” - 1920 წელს დადებულ საზავო ხელშეკრულება, რომლითაც უნგრეთის სამეფოს იმ დროინდელი ტერიტორიების ორი მესამედი ჩამოერთვა, ხოლო უნგრულად მოსაუბრე მოსახლეობის ერთი მესამედი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. უნგრელი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში ეს შემთხვევა „დიდ ისტორიულ უსამართლობადაა” ჩაბეჭდილი. ამ ტრავმას “ფიდესის” პროპაგანდა კარგად იყენებს - “უნგრელების ახალი თაობა ტრიანონის მითში ცხოვრობს”, რომლის მიხედვითაც უნგრეთს „დიდი ძალის“ სტატუსი უსამართლოდ ჩამოერთვა, მისი ტერიტორიების ფარგლებს გარეთ დარჩენილი უნგრული მოსახლეობა კი, რომელიც დღეს სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, სამშობლოს მოსწყდა. ეს ნარატივი ძირთადად უნგრელი ერის წარსული დიდების გახსენებას, „მსხვერპლის როლის“ მორგებას და დასავლეთის მიმართ უკმაყოფილების გაღვივებას ემსახურება. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები უნგრულენოვან მოსახლეობასაც. ამ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია მმართველი ძალის მიერ ისტორიული და კულტურული სიმბოლოების ოსტატური გამოყენებაც. “დიადი

უნგრეთის” რუკები, სადაც ქვეყანა 1918 წლამდე საზღვრებშია ასახული მინისტრების კაბინეტებში ჰკიდია; შარფზე გამოსახული ამ რუკით 2022 წელს თავად ვიქტორ ორბანიც კი გამოჩნდა საჯაროდ. ქვეყნის მასშტაბით მასიურად შეხვდებით მითიურ ფრინველ - ტურულის ახლად აღმართულ სიმბოლოებს, რომელიც კარპატების აუზში უნგრელების ისტორიულ ჩამოსვლას განასახიერებს (Ehl, 2023). ისტორიული კონტექსტის პოლიტიკურ პროგრამაში ინტეგრაციის კარგ მაგალითს თავად ორბანის გამოსვლებიც გვთავაზობს, რომლებიც დატვირთულია ისტორიული ანალოგიებით და სტრატეგიულად ემთხვევა ცენტრალურ ეროვნულ დღესასწაულებს. ეს გამოსვლები არა მხოლოდ ისტორიული ტრავმების ხაზგასმას და მსხვერპლის როლის მორგებას, არამედ ეროვნული ღირსებისა და თავდაჯერების აღდგენასაც ემსახურება. წინასწარ განსაზღვრული და ორკესტრირებულია თავად გამოსვლების ფორმალური მხარეც - საუბრისას პრემიერ-მინისტრი ძირითად პირველი პირის მრავლობით ფორმას იყენებს, რაშიც იგულისხმება როგორც საკუთარი თავი, ისე პარტია, მთავრობა და მთლიანად უნგრელი ერი. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ორბანის 103 გამოსვლის გაანალიზებით დადგინდა, რომ პირის ნაცვალსახელი “ჩვენ” 937-ჯერ ფიგურირებს, ხოლო “მე” - მხოლოდ 236-ჯერ (Sadecki, 2022, pp. 5 – 6).

ლიბერალიზმის წინააღმდეგ სუვერენიტეტის დაცვა უნგრეთის მმართველი პარტიის კიდევ ერთი ცენტრალური იდეაა. ეს საერთაშორისო პოლიტიკის განზომილებაში ითარგმნა, როგორც შიში, რომ ისეთი ლიბერალური იდეები, როგორებიცაა “კანონის უზენაესობა”, “მემარცხენე ლიბერალური დღის წესრიგი” ფემინიზმის, LGBTQ+ უფლებებისა და მულტიკულტურალიზმის სახით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს “ეროვნული ინტერესების” დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარს წაართმევდა (Kopper, et al., 2023, p. 101). ამ კუთხით, შეგვიძლია დავინახოთ იდეოლოგიური მსგავსებები არა მხოლოდ პოლონეთის მმართველ პარტიასთან, არამედ რუსეთში პუტინის მიერ არჩეულ პოლიტიკასთან, რომელიც ანტი-ლიბერალური დღის წესრიგით ჯერ კიდევ 2000-იანი წლებიდან გამოირჩეოდა. თუმცა, თუ პოლონეთის შემთხვევაში, რეჟიმებს შორის მსგავსებების მიუხედავად, რუსეთის მიმართ არსებული ნეგატიური ისტორიული გამოცდილება დაახლოების შესაძლებლობას თავიდანვე გამორიცხავს, უნგრეთისთვის მსგავსი შეზღუდვები არ არსებობს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეჟიმებს შორის არსებული მსგავსებები უნგრეთს,

ერთი მხრივ, დასავლეთის წინააღმდეგ განაწყობს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთთან საერთო ენის გამონახვისკენ უბიძგებს (Kopper et al., 2023, pp. 101 – 102). 2014 წლის ერთ-ერთ გამოსვლაში, ვიქტორ ორბანმა ღიად დააფიქსირა ავტორიტარული სახელმწიფოებისადმი სიმპათიები და აღნიშნა: „დღესდღეობით, პოპულარულია იმ სახელმწიფოების გაგების მცდელობა, რომლებიც დასავლურები, ლიბერალურები ან ლიბერალური დემოკრატიები კი არა, შეიძლება, დემოკრატიებიც კი არ არიან, მაგრამ თავიანთი ერებისთვის წარმატება მოაქვთ. დღეს საერთაშორისო სისტემის ვარსკვლავები სინგაპური, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და რუსეთი არიან“ (Orban, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ კარიერის დასაწყისში ვიქტორ ორბანი რუსეთისადმი კრიტიკული მიდგომით გამოირჩეოდა, 2009 წელს მოსკოვში ვიზიტის შემდეგ მისი რიტორიკა შეიცვალა. ევროკავშირთან და ზოგადად, ლიბერალურ ღირებულებებთან გაჩენილმა „უთანხმოებამ“, რუსეთთან ნეგატიური ისტორიული გამოცდილების არარსებობამ და რეჟიმებს შორის მსგავსებამ (მეტიც, რუსული სტილის მმართველობისგან ორბანმა ბევრი გაკვეთილიც ისწავლა) უნგრეთს მოსკოვთან და სხვა მსგავს რეჟიმებთან პრაგმატული ალიანსის ჩამოყალიბების შესაძლებლობა გაუჩინა. 2013 წლიდან დაწყებული “Eastern Opening” ინიციატივა, რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტების გახსნა და ორბანის მიერ პუტინის მმართველობისადმი საჯაროდ დაფიქსირებული სიმპათიები სწორედ ამაზე მეტყველებს (Buzogány, 2017).

თუმცა, რუსეთისკენ შემობრუნება მმართველი პარტიისგან ისტორიული მეხსიერებისა და ნარატივების ფრთხილ მანევრირებას მოითხოვდა: პირველ რიგში, საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთს შორის მკაფიო გამყოფი ხაზი დაისვა, ხოლო ნეგატიური ისტორიული მეხსიერება 1945 და 1956 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ქმედებებზე ფაქტობრივად მიიჩქმალა. მმართველი პარტიის მიერ მედიაზე მოპოვებული გავლენა ამ პოლიტიკის გატარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. საერთაშორისო ასპარეზზეც, რუსეთთან მიმართებით, ორბანი დაბალანსების პოლიტიკას მიმართავდა: მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებულ ყველა სანქციას უერთდებოდა, ამის "კომპენსაციას" რუსეთის მიმართ გადადგმული ისეთი ნაბიჯებით ახდენდა, როგორებიცაა რუსული

ელიტისთვის მოქალაქეობის შეთავაზება, 2015 წელს პუტინის ბუდაპეშტში მიღება, სპუტნიკის ვაქცინის შეძენა თუ სხვა (Kopper et al., 2023, p. 102).

უკრაინის ომი უნგრეთის ხელისუფლებისთვის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს. ამ კუთხით, აპრილში ჩანიშნული უნგრეთის საპარლამენტო არჩევნები "ფიდესისთვის" უმთავრესი პრობლემა გახლდათ. თუმცა ოფიციალურმა რიტორიკამ, რომელიც გამოკითხვებზე დაყრდნობით ამომრჩევლის განწყობების შესაბამისად აიგო, აქცენტები მშვიდობის შენარჩუნებასა და ანტი-უკრაინულ განწყობებზე დასვა. ხოლო საგარეო ასპარეზზე, პრო-რუსული პოლიტიკის თავდაპირველი შერბილების შემდეგ, პროპაგანდა მშვიდობის შენარჩუნებასა და რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების ხაზგასმაზე კონცენტრირდა (Andras & Szabolcs, 2022). პრემიერმა „ფიდესი“ წარმოაჩინა, როგორც ერთადერთი ძალა, რომელიც უნგრეთს ომის საშინელებებისგან იცავს, ხოლო ოპოზიცია - როგორც ომის მოსურნე საშიში ძალა, რომელსაც რუსეთთან სისხლიანი დაპირისპირება სწყურია. ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ჩანიშნული საპარლამენტო არჩევნების მოგებაში ორბანს სწორედ ეს ნარატივი დაეხმარა: “ოპოზიციას რომ მოეგო, მეორე დღეს უკრაინისთვის იარაღის მიწოდება დაიწყებოდა, გაზისა და ნავთობის კონტრაქტები გაუქმდებოდა ხოლო უნგრეთი განადგურებული დარჩებოდა.” ფაქტი, რომ უნგრეთის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება სწორედ ორბანის პოლიტიკის შედეგია, რა თქმა უნდა, არავის უხსენებია (Kopper et al., 2023, pp. 103 – 105).

თავი VI. უკრაინის საკითხი პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნულ იდენტობაში

უკრაინა როგორც პოლონეთის, ისე უნგრეთის შიდა თუ საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი ისტორიულად გახლდათ. სახელმწიფოების გეოგრაფიული სიახლოვე მათი ინტერაქციის არეალს ბუნებრივად ქმნიდა. პოლონეთის შემთხვევაში, საერთო ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის გაზიარებით ამ ორმა ქვეყანამ ურთიერთობის დიდი გამოცდილება დააგროვა. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ პოლონელების კოლექტიურ მეხსიერებასა და თვით-აღქმაში უკრაინას პოზიტიურთან ერთად, ნეგატიური ადგილიც უჭირავს. 1940-იანი წლების ტრაგედიები - ვოლინის ხოცვა-ჟლეტა და ოპერაცია “ვისლა” - პოლონეთისა და უკრაინის ისტორიულ გამოცდილებასა და ორმხრივ ტრავმებს განაპირობებს. ეს საკითხი ორივე ერის იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების ინტერპრეტაცია და უკრაინულ-პოლონური ისტორიული მეხსიერება განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა.

ჯერ კიდევ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, პოლონეთის მეორე რესპუბლიკის მთავარი თვით-მიზანი "პოლონური" სახელმწიფოს შექმნა გახლდათ. თავის მხრივ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები უმცირესობები "პოლონიზაციას" და ასიმილაციურ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევდნენ. უკრაინული უმცირესობებით დასახლებულ აღმოსავლეთ გალიციასა და ვოლინში ჯერ კიდევ მსოფლიო ომებს შორის პერიოდი უკრაინელ ნაციონალისტებსა და პოლონურ არმიას შორის მცირე მასშტაბის შეტაკებებით ხასიათდებოდა (Prizel, 1998, p. 63). მოგვიანებით, უკვე მეორე მსოფლიო ომის დროს, უკრაინელი ნაციონალისტების მიერ პოლონელების მასობრივი ეთნიკური წმენდა პოლონელი ერისთვის ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გამოცდილებაა. კოლექტიურ მეხსიერებაში ეს მოვლენა შემორჩენილია, როგორც "პოლონური სახელმწიფოს ღალატი მისივე უმცირესობების მიერ" (Prizel, 1998, p. 68). სტეპან ბანდერას მეთაურობით შექმნილი უკრაინის მეამბოხეთა არმიის (UPA) მიერ 1943 წელს ვოლინის პოლონური მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, სხვადასხვა მონაცემებით, 60 ათასიდან 100 ათასამდე პოლონელი შეეწირა. თავის მხრივ,

უკრაინელების მეხსიერებას შემორჩა ოპერაცია „ვისლა“ - 1947 წლის აპრილ - ივლისში 140 ათასამდე უკრაინელის იძულებითი დეპორტაცია, დახვრეტა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა; ხოლო UPA მათთვის ეროვნული ნაციონალისტური იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილად იქცა. პოლონურ-უკრაინულ კოლექტიურ მეხსიერებას ორმხრივი ტრავმული გამოცდილება ახასიათებს, თუმცა, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მხარეებს შორის შერიგების პროცესი დაიწყო. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი გარღვევა იყო 1997 წლის მაისში უკრაინაში ხელმოწერილი შერიგების დეკლარაცია, სადაც ორივე სახელმწიფოს მიერ ჩადენილი შეცდომები იყო აღიარებული (სნაიდერი, 2021, გვ. 232, 274, 391).

პოლონეთის მიერ 2022 წლის ომში უკრაინისადმი გაწეული დახმარება მოწმობს, რომ მხარეების მზადყოფნის, შეცდომების აღიარებისა და რაც მთავარია, შესაბამისი საერთო საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მსგავსი ტრაგედიების უკან მოტოვება შესაძლებელია. ამ პროცესში კი განსაკუთრებული როლი ითამაშა რუსეთის ფაქტორმა, რომელიც არა მხოლოდ საერთო ისტორიულ მტერია, არამედ ორივე სახელმწიფოსთვის უკვე ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს (Gera, 2023). თუმცა, სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ რჩება ე.წ. “უხერხული” საკითხები, რომელთა შორის უპირველესი სტეპან ბანდერას პიროვნებაა. მისი ფიგურა მეტად წინააღმდეგობრივია თავად უკრაინაშიც კი - მოსახლეობის ნაწილი მას აღიქვამს, როგორც უკრაინელი ერის „მამასა“ და განმათავისუფლებელს, ნაწილი კი ბანდერას ნაცისტურ რეჟიმთან კოლაბორაციაში ადანაშაულებს. მისი ფიგურა თანამედროვე პოლონურ-უკრაინულ ურთიერთობებშიც საკამათო საკითხია. 2022 წლის მიმდინარე ომშიც კი, ოფიციალური ვარშავა ღიად აკრიტიკებს და გმობს უკრაინის მიერ ბანდერას, როგორც ისტორიული ფიგურის გახსენებისა და პატივის მიგების მცდელობებს (Goncharenko, 2022).

ლიტერატურა და ისტორიული მოვლენები სახელმწიფოთა აღქმებსა და ღირებულებებზე დიდ გავლენას ახდენს. საინტერესოა, რომ ანტი-უკრაინული სენტიმენტები და სტერეოტიპები გვხვდება პოლონურ პოპ-კულტურის ნიმუშებსა და კლასიკურ ნაწარმოებებშიც (ჰენრიკ სიენკევიჩის “ცეცხლი და მახვილი”, “სერჟანტი კალენი”, “Wilcze echa”). თუმცა თანამედროვე პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური

მიზანი მეზობელი სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი უკრაინის დემოკრატიზაცია, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და ევრო-ატლანტიკურ ალიანსებში გაწევრიანება გახლდათ (Kopper, et al., 2023, p. 104).

უკრაინის საკითხი უნგრეთის პოლიტიკური დისკურსის ნაწილიცაა. პოლონეთისგან განსხვავებით, ორ ერს მსგავსი მასშტაბის ეთნიკური კონფლიქტი და ტრავმული ისტორიული გამოცდილება ნაკლებად აკავშირებთ. თუმცა, „ფიდესის“ მიერ „ახალი უნგრული იდენტობის“ ნაწილად ქცეული უნგრული უმცირესობის საკითხი უკრაინასთან ბოლო დროინდელი დაძაბული ურთიერთობების მნიშვნელოვანი წყაროა. “ფიდესი“ და სხვა უნგრული მემარჯვენე პარტიები ამ საკითხს ყოველთვის მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობებზე წინ აყენებდნენ, თავად ორბანი კი ამ თემას ჯერ კიდევ მისი პირველი მანდატის დროს ლობირებდა. უკრაინის იმიერკარპატების ოლქში მცხოვრებ უნგრულ მოსახლეობაზე საკამათო დისკუსია ორბანმა 2014 წლიდან დაიწყო, როცა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები 200 ათასი უნგრელის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მიღებას (Mamo, 2021).

როგორც უკვე აღინიშნა, იდენტობის პოლიტიკას ორბანის სტრატეგიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. უკანასკნელ ორ დეკადაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები უნგრელების პრობლემა “ფიდესმა” პოლიტიკურ დღის წესრიგში წინ წამოწია (თავის მხრივ ეს იდეა “ტრიანონის ტრავმამდე” მიდის). სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც 2017 წელს უკრაინის პარლამენტის კანონმდებლობით საგანმანათლებლო სისტემაში უმცირესობების ენის გამოყენება შეზღუდვა გაჩნდა. უთანხმოების ფონზე, 2018 წლიდან მოყოლებული, უნგრეთი უკრაინასა და NATO-ს ოფიციალურ პირებს შორის შეხვედრებს მუდმივად ვეტოს ადებდა, რითაც მნიშვნელოვნად აფერხებდა უკრაინის NATO-სთან დაახლოების პროცესს (Mamo, 2021). ოფიციალური ბუდაპეშტის პოზიციით, უკრაინაში მცხოვრები 150,000-მდე უნგრელის უსაფრთხოება მისთვის მთავარი პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც როგორც 2014, ისე 2022 წლის ომების დროს გაკეთებულ განცხადებებშიც დადასტურდა: „მთელ ამ კონფლიქტში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უნგრეთსა და იმიერკარპატებში მცხოვრები უნგრელები არიან“ (Feledy, 2014, pp. 70 – 72); “მეზობელ სახელმწიფოში ომია, სახელმწიფოში, სადაც ასობით ათასი უნგრელი ცხოვრობს“ (Orban, 2022).

თავი VII. ეროვნული იდენტობის გავლენა საგარეო საფრთხის აღქმაზე

სახელმწიფოებს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე კონკრეტული ქმედებებისკენ საფრთხის აღქმა უბიძგებს. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების გამოწვევად, განისაზღვრება კონკრეტული დროით და კონტექსტით და დამოკიდებულია გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ საფრთხის რეალური თუ წარმოდგენილი ასპექტების აღქმაზე. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის გამომხატველი მთავარი კონცეფციაა. სწორედ მასში განისაზღვრება სახელმწიფოს მთავარი საფრთხეები, სუსტი მხარეები, სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევის/გადაჭრის გზები. უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნა ინსტიტუციონალიზებული პროცესია, შესაბამისად, მათი ანალიზი სახელმწიფოს დღის წესრიგში პრიორიტეტული საკითხების შესაფერისი ინდიკატორია. (Moldovan, 2018, pp. 91 - 94).

ამ მიზნით, ნაშრომში განხილულია პოლონეთის 5 ოფიციალურად დამტკიცებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია; ხოლო უნგრეთის 3 (2004, 2012 და 2020) ასეთი დოკუმენტი. ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტებში ნათლად ჩანს თუ როგორ უკავშირდება ზემოთ განხილული ისტორიული გამოცდილება და ეროვნული იდენტობა ამ ქვეყნების მიერ იდენტიფიცირებულ საფრთხეებს და როგორ „ითარგმნება“ ეს მათ მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკაში კონკრეტულად 2022 წლის უკრაინის ომთან მიმართებაში.

პოლონეთის 1992, 2003, 2007, 2014 და 2020 წლის დოკუმენტებს რამდენიმე ძირითადი იდეა აერთიანებს: ხუთივე მათგანში ხაზგასმულია ქვეყნის უსაფრთხოებაში ევროატლანტიკური ალიანსის როლი; მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით უკრაინასა და ვიშეგრადის სახელმწიფოებთან კოოპერაციის მნიშვნელობა; და უკრაინის (2014-2020 წლის დოკუმენტებში კი მოლდოვასა და საქართველოს) ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერა. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტში ის ძირითადად “საფრთხეების” კუთხით ფიგურირებს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლონეთის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება, რაც სახელმწიფოს დაუცველობის ერთ-ერთ წყაროდ მოიაზრება (NSS 2003, p. 3; NSS 2007, p. 6; NSS 2014, p. 40; NSS 2020, p. 34). ეს

ყოველივე ცხადად უკავშირდება პოლონეთის ეროვნულ იდენტობაში რუსეთიდან წამოსული საფრთხეების მიმართ დაუცველობის შეგრძნებას, რომლის გასანეიტრალებლადაც პოლონეთი ყოველთვის ცდილობდა ალიანსებში შესვლას - თანამედროვეობაში, ასეთ ალიანსად NATO მოიაზრება.

საინტერესოა, რომ რუსეთის, როგორც სამხედრო საფრთხის აღქმა 2014 წლის უკრაინის ომის შემდეგ დამტკიცებულ დოკუმენტებში უფრო მკაფიოდ ჩანს. ეს მოსალოდნელიცაა, რადგან 2014 წლის შემდეგ, პოლონეთი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უსაფრთხოების მსგავსი გამოწვევის წინაშე პირველად დადგა. დოკუმენტის საჯარო ვერსია ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სრულმასშტაბიან ომს შესაძლო სცენარად განიხილავს და ამ საფრთხის მთავარ წყაროდ რუსეთი ესახება. ამ უკანასკნელთან მიმართებით, გამკაცრებულია უშუალოდ რიტორიკაც - "რუსეთის მიერ ძალაუფლების აღდგენა მისი მეზობლების ხარჯზე და კონფრონტაციული პოლიტიკის გაძლიერება" (Donaj, 2015, p. 5). საფრთხის გამძაფრებული აღქმა დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებზე დაკვირვებისასაც კარგად ჩანს - 2014 წლის შემდეგ პოლონეთის უსაფრთხოების სტრატეგია "საფრთხეებს" არა სოციო-ეკონომიკურ, არამედ უკვე სამხედრო კონტექსტში განიხილავს (Moldovan, 2014, pp. 98 - 99). მოსკოვის მიმართ რიტორიკის გამკაცრება პიკს ბოლო, 2020 წლის დოკუმენტში აღწევს: "ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ნეოიმპერიული პოლიტიკა, რომელსაც ის სამხედრო ძალით ახორციელებს" (NSS of Poland, 2020, p. 6).

საინტერესოა, რომ პოლონეთისა და უნგრეთის ადრეული პერიოდის უსაფრთხოების სტრატეგიები რამდენიმე ასპექტში მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ჰგავს - ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის ხაზგასმა; უკრაინის დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და ვიშეგრადის კოოპერაციის მხარდაჭერა; და ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიკაციის აუცილებლობის აღნიშვნა მათ შორის მთავარი საკითხებია (NSS 2002, pp. 8 - 15; NSS 2012, pp. 8 - 14; NSS 2020, pp. 11 - 13).

კიდევ ერთი საინტერესო მსგავსებაა 2020 წლის ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტში "ქრისტიანული ღირებულებების" წინ წამოწევა, რაც მემარჯვენე-

კონსერვატიული მთავრობების მიერ ტრადიციებზე გაკეთებული აქცენტების გამოძახილია. პოლონეთის 2020 წლის უსაფრთხოების დოკუმენტში "ეროვნული იდენტობის" საკითხის პირველადაა შემოტანილი - თუ აქამდე ეს თემა მხოლოდ გაკვრით, ან საერთოდ არ იყო ნახსენები, 2020 წლის დოკუმენტში "ეროვნულ იდენტობას" ცალკე თავი ეთმობა. აქ გამოყოფილია "ქრისტიანული ღირებულებების", "ტრადიციული ოჯახური ღირებულებებისა" და ტრადიციების დაცვის მნიშვნელობა (NSS of Poland, 2020, p. 28). თუმცა, ქრისტიანობაზე აქცენტები უნგრეთის შემთხვევაში კიდევ უფრო ხშირად გვხვდება - ტერმინი "ქრისტიანობა" 2020 უსაფრთხოების დოკუმენტში 7-ჯერ ფიქსირდება (NSS of Hungary, 2020, p. 12)

როგორც მოსალოდნელია, მთავარი განსხვავებები რუსეთის ფაქტორში იკვეთება. პოლონეთისგან განსხვავებით, უნგრეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთი შედარებით ნაკლებად ფიგურირებს (2012 წლის დოკუმენტში ნახსენებიც კი არაა); თუ პოლონეთის უსაფრთხოების დოკუმენტებში მოსკოვი წარმოჩენილია, როგორც საფრთხე, უნგრეთის შემთხვევაში ის მეტწილად პოზიტიურ კონტექსტშია ნახსენები; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრაგმატულ ურთიერთობებზე: "რუსეთი განაგრძობს იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში" (NSS of Hungary, 2004, p. 2); "რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის განსაკუთრებული საჭიროება არსებობს; უნდა მივიღოთ ზომები, რათა შემცირდეს რისკები და დამყარდეს ნდობა. არსებობს უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პრაგმატული განვითარების ინტერესები" (NSS of Hungary, 2020, p. 12). ეს ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც პოლონეთს რუსეთის მიმართ არსებული კონფლიქტური ეროვნული იდენტობა მასთან კოოპერაციის შესაძლებლობას უზღუდავს, ხოლო უნგრეთს მსგავსი გამოცდილების არარსებობა უფრო პრაგმატული პოლიტიკის გატარების მოტივაციას აძლევს.

"ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ უნგრელებზე" განსაკუთრებული აქცენტები ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტებშიც გვხვდება. სამივე მათგანში ხაზგასმულია უმცირესობების ფუნდამენტური უფლებების დაცვის აუცილებლობა, რაც "უნგრეთის ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს". თუმცა, ამ პრობლემის წინ წამოწევა განსაკუთრებით ბოლო, 2020 წლის უსაფრთხოების დოკუმენტშია შესამჩნევი (NSS of Hungary, 2020, p. 3). ეს რიტორიკა

უკვე მოგვიანებით, უკრაინის მიმდინარე ომში უნგრული უმცირესობის საკითხებით აპელირებაში გამოვლინდა.

უნგრეთის უსაფრთხოების დოკუმენტში, პოლონეთისგან განსხვავებით, გვხვდება ცალკე აბზაცი პოლონურ-უნგრული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ორი ქვეყნის მჭიდრო პარტნიორობას როგორც ბილატერალურ, ისე ევროკავშირის ფორმატში: "უნგრულ და პოლონურ ერებს ათასწლიანი საერთო ისტორია და ძმობა აკავშირებთ." (NSS of Hungary, 2020, p. 14).

თავი VIII. უნგრეთ-პოლონეთის ეროვნული იდენტობა და საგარეო პოლიტიკა: თეორიული ანალიზი

ნაშრომის წინამდებარე თავებში მიმოხილული იქნა 2022 წლის უკრაინის ომში უნგრეთისა და პოლონეთის პოზიციონირების თავისებურებები; რუსეთთან მიმართებით პოლონეთის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მოვლენების გათვალისწინებით; უნგრეთის ეროვნული იდენტობა ვიქტორ ორბანისა და "ფიდესის" მმართველობის პერიოდში, რომელიც რუსეთისკენ შემობრუნების პოლიტიკით ხასიათდება; ბოლოს კი, გაანალიზდა ამ სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები, რის შედეგადაც გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რაც ამ სახელმწიფოების მიერ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური საფრთხეების აღქმაზე ახდენს გავლენას.

იმისთვის, რომ დავადგინოთ, თუ როგორ განაპირობა პოლონეთისა და უნგრეთის განსხვავებულმა ეროვნულმა იდენტობებმა უკრაინის ომში მათი პოზიციები, საჭიროა ზემოთ განხილული ინფორმაციის შეჯერება და ცვლადებს შორის კორელაციის დადგენა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ საგარეო საფრთხის აღქმა - ე.წ. "შუალედური რგოლია", რომელიც გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ "ითარგმნება" ეროვნული იდენტობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. ეროვნული იდენტობა სახელმწიფოს მიერ დაგროვებული ისტორიული გამოცდილების, კოლექტიური მეხსიერების, საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებებისა და პრინციპების ერთიანობაა. თავის მხრივ, ის, თუ როგორ აღიქვამს სახელმწიფო საკუთარ თავს და გარშემომყოფებს, „მტრებსა" და „მოკავშირეებს", განსაზღვრავს მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. ეს ყოველივე სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკას აყალიბებს და საბოლოოდ, საგარეო პოლიტიკურ პოზიციონირებაში გამოიხატება. ამ სამ საფეხურიან „თავსატეხში" შუალედურ ცვლადს - საგარეო საფრთხის აღქმას ყველაზე უკეთ სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია გამოკვეთს. ცვლადებს შორის კორელაციის გამოვლენის მიზნით, ნაშრომში ჯერ რუსეთი-უკრაინის მიმართ უნგრეთისა და პოლონეთის ეროვნულ იდენტობაზე მოქმედი ასპექტები გაანალიზდა; ხოლო შემდეგ, ამ ორი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლა სახელმწიფოთა ქცევის განსაზღვრაში იდენტობების, ისტორიული გამოცდილებისა და თვით-აღქმის როლს უსვამს ხაზს. იდენტობა, იგივე *„მე“*, ყალიბდება *„სხვასთან“* ინტერაქციის, ქვეყნის წარსულისა თუ კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე. თუმცა, მეხსიერება, ისევე როგორც იდენტობა მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული და წინასწარ განსაზღვრული კონცეფცია როდია - ის მუდმივად იცვლება დროისა და კონტექსტის მიხედვით. სახელმწიფოებისთვის დიდი გამარჯვებები ისევე წარმოადგენენ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების წყაროს, როგორც ტრაგედიები თუ მარცხები (Viotti & Kauppi, 2012, p. 287). შესაბამისად, ისეთი მოვლენები, როგორებიცაა „ტრიანონის ხელშეკრულება“, „იანვრისა“ და „ვარშავის“ წარუმატებელი აჯანყებები, ეთნიკური წმენდის ტრაგიკული ეპიზოდები თუ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ტრავმები, სახელმწიფოთა კოლექტიურ მეხსიერებაში ილექება და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. თავის მხრივ, ისტორიული გამოცდილება და ეროვნული იდენტობა თავს იჩენს არა მხოლოდ სახელმწიფოთა ოფიციალურ დოკუმენტებსა და სტრატეგიებში, არამედ ლიტერატურაში, ეროვნულ დღესასწაულებში, ისტორიული ფიგურებისა და ტრაგიკული მოვლენების უკვდავყოფაში, სახელმწიფოთა ლიდერების გამოსვლებში.

კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა იდენტობა და მათი ინტერესები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესები, რომელიც ხშირად მისი იდენტობით განისაზღვრება, აქტორის ქცევის ამხსნელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრაგმატულ ინტერესებთან ერთად, ქვეყნებისთვის სწორედ იდენტობა განსაზღვრავს კონკრეტულ დროსა და კონტექსტში პრიორიტეტებსა და “შესაბამის ქცევას”. ამ კუთხით, სწორედ კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლა გვთავაზობს უკრაინის ომზე პოლონეთისა და უნგრეთის განსხვავებული რეაქციების შესაბამის ახსნას. საერთაშორისო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისთვის რუსეთიდან მომავალი საფრთხე თანაბარ გამოწვევას უნდა წარმოადგენდეს, რომ არაფერი ვთქვათ NATO-ს და ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და ეკონომიკური სისტემების წევრობაზე. ამის მიუხედავად, სახეზეა

პოლონეთის მხრიდან უკრაინისთვის გაწეულ უპრეცედენტო მასშტაბის დახმარება, ხოლო უნგრეთის მხრიდან - მერყეობა და შერეული სიგნალები.

რუსეთის მიმართ პოლონეთის ტრავმული ისტორიული გამოცდილებებით ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობა განსაზღვრავს მოსკოვის მიმართ მუდმივ უნდობლობასა და საფრთხის მოლოდინს. ამას ადასტურებს როგორც პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზი, ისე ქვეყნის შიდა პოლიტიკურ დისკურსზე დაკვირვება. სწორედ ეს დამოკიდებულება განაპირობებს ოფიციალური ვარშავის მკვეთრ, უკომპრომისო და დაუყოვნებელ რეაქციას კრემლის აგრესიულ სამხედრო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით, პოსტ-საბჭოთა სივრცეში (2008 წლის რუსეთ-საქართველოს, 2014 წლის ყირიმის თუ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომები). ნაშრომში გამოჩნდა, რომ სხვა, თუნდაც იმავე საფრთხის წინაშე მდგომ სახელმწიფოებთან შედარებით, პოლონეთი ყოველთვის უფრო აქტიურად მოითხოვდა რუსეთის აგრესიული ქმედებებზე პასუხს სანქციების გამკაცრებითა თუ თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებით. თავის მხრივ, უნგრეთს, რომელსაც რუსეთთან მიმართებით მსგავსი მასშტაბის ნეგატიური ისტორიული გამოცდილება არ ჰქონია, მოსკოვი ეგზისტენციალურ საფრთხედ არ ესახება, რის გამოც, ამ ქვეყნის აგრესიულ ქმედებებისგან მომავალ საფრთხეებს ნაკლები სიმძაფრით აღიქვამს. ეს კი რუსეთთან პრაგმატული, მოგებაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაბმის შესაძლებლობას ქმნის.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლისთვის ნაშრომში შემოტანილია ჰოლისტური კონსტრუქტივიზმის თეორიული მიმდინარეობა, რომელიც ანალიზისას საგარეო და საშინაო ფაქტორების დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა. ამის საჭიროებას განსაკუთრებით უნგრეთის შემთხვევა წარმოშობს, რადგან მხოლოდ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე ფოკუსირებით, ამ უკანასკნელის რუსეთისკენ შემობრუნება ბოლომდე ვერ აიხსნება. უნგრეთის ეროვნული იდენტობა, რომელიც პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის პერიოდში, ფაქტობრივად ხელახლა გადათამაშდა, სუვერენიტეტის დაცვაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს - სენტიმენტი, რომელიც კი ჯერ კიდევ "ტრიანონის ტრავმიდან" იღებს სათავეს და "ფიდესის" პოლიტიკური ქმედებებით ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობები, ქვეყნის გარეთ

(განსაკუთრებით უკრაინაში) მცხოვრები უნგრელი უმცირესობების საკითხი და რუსეთთან არსებული რეჟიმების სიახლოვე ორბანს ამ უკანასკნელთან დაახლოების კიდევ უფრო მეტ მოტივაციას უჩენს.

კონსტრუქტივისტული თეორიით, დროისა და კონტექსტის ცვლილებამ შეიძლება ეროვნული იდენტობის განსხვავებული ასპექტები წამოწიოს წინ. ამ ცვლილების განმაპირობებელი მიზეზი შეიძლება გახდეს სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები, ასევე ქვეყნის სათავეში მყოფი ძალების დღის წესრიგი. ამ შემთხვევის მაგალითს უკრაინის მიმართ პოლონეთისა და უნგრეთის მიდგომა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ წარსული ტრავმული გამოცდილებები უკრაინასა და პოლონეთს შორის დაძაბულობის წყარო ყოველთვის იყო, რუსეთის სახით საერთო საგარეო პოლიტიკური საფრთხის გაჩენამ პოლონეთის ეროვნულ იდენტობაში ანტი-რუსული ასპექტი უფრო წინ წამოწია. თავის მხრივ, უნგრეთის მმართველის ძალის პოლიტიკური დღის წესრიგის გავლენით, უნგრეთის ეროვნულ იდენტობაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები უნგრელი უმცირესობების საკითხს უფრო დიდი პრიორიტეტი მიენიჭა. აქედან გამომდინარე უკრაინასთან გაჩენილ დაძაბულობას კი დაემატა რუსეთთან პრაგმატული ეკონომიკური ურთიერთობისა და რეჟიმებს შორის სიახლოვის საკითხიც.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა პოლონეთისა და უნგრეთის ეროვნული იდენტობების ანალიზის შედეგად 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომში მათი განსხვავებული პოზიციონირების ახსნას. შესაბამისად, ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენდა შემდეგი: "რა გავლენა იქონია უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებულმა ეროვნულმა იდენტობებმა მათ პოზიციებზე უკრაინის ომში?" საკვლევი კითხვის შესაბამისად, გამოიყო დამოკიდებული (უნგრეთისა და პოლონეთის მიერ უკრაინის ომში დაფიქსირებული განსხვავებული პოზიცია); დამოუკიდებელი (ამ სახელმწიფოების განსხვავებული ეროვნული იდენტობა); და შუალედური (საგარეო საფრთხის აღქმა) ცვლადები.

საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იქნა მონაცემთა შეგროვების კონტენტ ანალიზის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა თემასთან დაკავშირებული პირველადი და მეორეული წყაროები - კადემიური ნაშრომები, ონლაინ პუბლიკაციები, ოფიციალური დოკუმენტები (სახელმწიფოთა სტრატეგიული უსაფრთხოების დოკუმენტები) და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გამოსვლები. საკვლევი თემატიკის უფრო სიღრმისეულად გაანალიზებისთვის გამოყენებული იქნა საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული სკოლის მიმდინარეობა - ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი.

ნაშრომის აქტუალობას და სამეცნიერო ღირებულებას განაპირობებდა როგორც ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტში უკრაინის ომისგან გამოწვეული ფუნდამენტური ცვლილებები და მათი შესწავლის აუცილებლობა, ისე უშუალოდ უნგრეთისა და პოლონეთის საგარეო პოლიტიკურ პოზიციონირებას შორის არსებულ განსხვავებებზე ფოკუსირებული აკადემიური ნაშრომების სიმცირე.

ნაშრომში ეროვნული იდენტობის კონცეფციაზე დაკვირვებით გამოიკვეთა მისი გავლენა სახელმწიფოების მიერ საგარეო საფრთხეების აღქმასა და საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებაზე. კვლევის შედეგად დადგინდა კორელაცია გამოყოფილ ცვლადებს შორის: პოლონეთისა და უნგრეთის განსხვავებულმა ეროვნულმა იდენტობებმა მართლაც განაპირობეს მათ მიერ საგარეო საფრთხეების სხვადასხვანაირი აღქმა, რაც, საბოლოოდ, უკრაინის ომში მათ განსხვავებულ

პოზიციონირებაში გამოიკვეთა. უფრო კონკრეტულად, გამოჩნდა, რომ უკრაინის ომში უნგრეთისა და პოლონეთის განსხვავებულ რეაქციებს განაპირობებს ერთი მხრივ, რუსეთის მიმართ ნეგატიური ისტორიული გამოცდილება (ან მისი არარსებობა), ხოლო მეორე მხრივ მმართველი რეჟიმების მიერ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგში ეროვნული იდენტობის განსხვავებული ასპექტების დაწინაურება.

შესაბამისად, დასტურდება კვლევაში გამოთქმული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ერთი მხრივ, რუსეთის მიმართ პოლონეთის ისტორიულად ანტაგონისტურმა ეროვნულმა იდენტობამ, ხოლო მეორე მხრივ უნგრეთში მსგავსი გამოცდილების არარსებობამ და ბოლო ათწლეულებში ჩამოყალიბებულმა "ახალმა უნგრულმა იდენტობამ" ომისგან მომავალი საგარეო საფრთხის განსხვავებული შეფასება და შესაბამისად, საერთაშორისო არენაზე სხვადასხვაგვარი პოზიციონირება განაპირობა.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, კვლევის სამომავლო პერსპექტივები შეიძლება რამდენიმე კუთხით განვითარდეს. მიმდინარე მოვლენების ფონზე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს ევროკავშირის შიგნით უნგრეთსა და პოლონეთს შორის არსებული ტრადიციული ალიანსის განვითარების სამომავლო პერსპექტივა და მისი შედეგების გავლენა ევროკავშირის შიდა თუ საგარეო პოლიტიკაზე.

ბიბლიოგრაფია:

ტარასაშვილი, მ. (2021). კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში. In აკობია, et al., (რედ) *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი.* (გვ. 45 – 61). კავკასიის უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის სკოლის ელექტრონული გამოცემა, N1. თბილისი.

სნაიდერი, ტ. (2021). *ერების რეკონსტრუქცია: პოლონეთი, უკრაინა, ლიეტუვა, ბელარუსი 1569 – 1999.* ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.

ფლოქჰარტი, თ. (2012). კონსტრუქტივიზმი და საგარეო პოლიტიკა. In სმიტი, ს. & სხვ. (რედ.) *საგარეო პოლიტიკა - თეორიები აქტორები ქეისები.* მეოთხე თავი, (გვ. 1 – 34). Oxford University Press, UK, 2012.

წულაძე, ლ. (2020). თვისებრივი კვლევა სოციოლოგიაში: მეთოდოლოგიური საფუძვლები და განვითარების ისტორია. *სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.* (გვ. 14). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ხუციშვილი, მ. (2020, 5 დეკემბერი). *რატომ არ გვაქვს მეხსიერების პოლიტიკა საბჭოთა ტერორთან მიმართებაში.* ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა: 18.06.2023 https://batumelebi.netgazeti.ge/news/317226/

Andras, S. & Szabolcs, P. (2022). *Inside Viktor Orbán's response to the war in Ukraine*. Direkt36. Retrieved 19.06.2023, from https://www.direkt36.hu/en/orban-a-haboruban/

Attila, A. (2016). Cultural war and reinventing the past in Poland and Hungary. *Polish Political Science Yearbook* 1:32-44. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=466443

Bachleitner, K. (2021). *Collective memory in International Relations*. Oxford University Press, pp. 2 – 7

Bieniek, P. (2006). Polish defense policy in the context of National Security Strategy. [Master Thesis] The Naval Postgraduate Shool. June 2006.

Bozdaglioglu, Y. (2003). Turkish foreign policy and Turkish identity: A Constructivis approach. In MacDonald, C. (Ed.), *Studies in International Relations*. (pp. 18 -24) . A Routledge Series.

Ciobanu, C. & Inotai, E. (2023, 11 April). *Hungary and Poland relations: Poles apart.* Balkan Insight. Retrieved 09.06.2023, from https://balkaninsight.com/2023/04/11/hungary-and-poland-relations-poles-apart/

Coakley, A. (2022, 22 August). *The end of the affair*. Foreign Policy. Retrieved 09.04.2023, from *https://foreignpolicy.com/2022/08/22/hungary-orban-poland-morawiecki-illiberal-eu/*

Cohen, R. (2023, 28 February). *War in Ukraine has changed Europe forever*. The New York Times. Retrieved 09.04.2023, from *https://www.nytimes.com/2023/02/26/world/europe/ukraine-russia-war.html*

Donaj, L. (2015). Poland's contemporary national security: The goals of the National Security Strategy. *PolitBook* – 2015 – 1

Feledy, B. (2015). Hungarian foreign policy and the crisis in Ukraine. In Kucharczyk, J. & Mesežnikov, G. (Eds) *Diverging Voices, Converging Policies: The Visegrad States' Reactions to the Russia-Ukraine Conflict*. Commissioned by the Heinrich-Böll-Stiftung.

Fredheim, R. (2014). The memory of Katyn in Polish political discourse: A quantitative study. *EUROPE-ASIA STUDIES* Vol.66, No.7, September 2014, 1165–1187. https://core.ac.uk/download/pdf/144826682.pdf

Gardner, M. M. (1929). The Poles in Siberia [Review of *Dzieje Polaków na Syberji, by Michał Janik]. The Slavonic and East European Review*, 7(21), 752–755. http://www.jstor.org/stable/4202349

Gera, V. (2023, 5 April). *Polish-Ukrainian friendship masks a bitter, bloody history*. AP News. Retrieved 09.06.2023, from https://apnews.com/article/poland-ukraine-history-war-bandera-tensions-d6a4743ca945dc3144886d9232ed795d

Gillis, J. (2004). Memory and identity: The history of relationship. In Gillis, J. (Ed.) *Commemoration: Politics of National Identity*. pp. 1 - 5. Princeton University Press. Princeton, New Jersey.

Goncharenko, R. (2022, 22 May). *Stepan Bandera: hero or Nazi collaborator?* Deutsche Welle. Retrieved 19.06.2023, from https://www.dw.com/en/stepan-bandera-ukrainian-hero-or-nazi-collaborator/a-61842720

Guibernau, M. (2004). Anthony D. Smith on nations and national identity: a critical assessment. *Nations and Nationalism*, 10: 125-141. https://doi.org/10.1111/j.1354-5078.2004.00159.x

Gyori, L., Hunyadi, B., Juhasz, A., & Kreko, P. (2015). Domestic political context since 1989: Hungary, Russia, Ukraine. In Kucharczyk, J. & Mesežnikov, G (Eds.), *Diverging Voices, Converging Policies: The Visegrad States' Reactions to the Russia-Ukraine Conflict.* (pp. 52 – 58). Commissioned by the Heinrich-Böll-Stiftung

Holesch, A. & Kyriazi, A. (2022) Democratic backsliding in the European Union: the role of the Hungarian-Polish coalition. *East European Politics,* 38:1, 1-20, DOI: 10.1080/21599165.2020.1865319

Kowal, P. (2021, 5 February). Why Hungary and Poland are sticking together. *Geopolitical Intelligence Services*. Retrieved 09.06.2023, from https://www.gisreportsonline.com/r/hungary-poland-democracy/

Kopper, A., Szalai, A. & Gora, M. (2023). Populist foreign policy in Central and Eastern Europe: Poland, Hungary and the shock of the Ukraine crisis. In Smith, K. et al. (Eds), *Global Foreign Policy Studies*, Chapter 4. (pp. 89 – 117). Palgrave, Macmillan.

Kucharczyk, J. & Fukseiwicz, A. (2015). The long shadow of the Kremlin: Polish domestic reactions to the Russian-Ukrainian Conflict. In Kucharczyk, J. & Mesežnikov, G (Eds.), *Diverging Voices, Converging Policies: The Visegrad States' Reactions to the Russia-Ukraine Conflict.* (pp. 102 - 114). Commissioned by the Heinrich-Böll-Stiftung

Kuzio, T. (2023, 12 April). Poland and Ukraine: The emerging alliance that could reshape Europe. *Atlantic Council*. Retrieved 09.06.2023, from https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/poland-and-ukraine-the-emerging-alliance-that-could-reshape-europe/

Lamont, C. (2008). Qualitative Methods in International Relations: What are they? And why use them? In A. Klotz & D. Prakash (Eds.), *Research Methods in International Relations* (pp. 95–95). SAGE Publications LTD.

Lebow, R. (2016). National identities and International Relations. (pp. 7 – 10). King's College London, University of Cambridge, and Dartmouth College. University Printing House, Cambridge CB2 8BS, United Kingdom.

Mamo, C. (2021, 8 July). Explainer: Ukraine's Hungarians, NATO, and national identity. *Emerging Europe*. Retrieved 09.06.2023 from https://emerging-europe.com/news/the-explainer-ukraines-hungarians-nato-and-national-identity/

Ministry of Foreign Affairs of Hungary (2012). Hunagry's National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://2010-2014.kormany.hu/download/4/32/b0000/National%20Security%20Strategy.pdf

Moldovan, A. (2018). Polish national security policy in a new regional security environment. Case study: National Security Strategy of Poland 2014. *Torun International Studies*, 2018, No. 1 (11), pp. 89–102. DOI: hp://dx.doi.org/10.12775/TIS.2018.008

Government of Poland (1992). National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://koziej.pl/wp-content/uploads/2015/07/Strategia_RP_z_92_r.doc

Government of Poland (2003). National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://www.files.ethz.ch/isn/156794/Poland-2003.pdf

Government of Poland (2007). National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://issat.dcaf.ch/download/15273/178431/Poland-%20NSS%202007-eng.pdf

Government of Poland (2014). National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://www.bbn. gov.pl/ftp/dok/NSS_RP.pdf

Government of Poland (2020). National Security Strategy. Retrieved 09.06.2023 from https://www.bbn.gov.pl/ftp/dokumenty/National_Security_Strategy_of_the_Republic_of_Poland_2020.pdf

Nia, M. (2011). Understanding Iran's foreign policy: An application of Holistic Constructivism. *World Affairs: The Journal of International Issues,* (pp. 113 – 114), Vol. 15, No. 2 (SUMMER 2011 (APRIL-JUNE)), pp. 106-138. https://www.jstor.org/stable/10.2307/48505075

Notes From Poland (2023, 2 January). Poland condemns Ukraine's commemoration of wartime nationalist leader Bandera. Retrieved 09.06.2023 from https://notesfrompoland.com/2023/01/02/poland-condemns-ukraines-commemoration-of-wartime-nationalist-leader-bandera/

Orbán, V. (2014). The end of Liberal Democracy, Talk on 26 July 2014. Retrieved from: The Budapest Beacon, https://budapestbeacon.com/full-text-of-viktor-orbans-speech-at-baile-tusnad-tusnadfurdo-of-26-july-2014/

Orban, V. (2022). Speech by Prime Minister Viktor Orbán on the 174th anniversary of the Hungarian revolution and war of independence of 1848–49. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-by-prime-minister-viktor-orban-on-the-174th-anniversary-of-the-hungarian-revolution-and-war-of-independence-of-184849

Özkirimli, U. (2010). Theories of nationalism: A critical introduction. (pp. 49 – 143) PALGRAVE MACMILLAN, Second Edition.

Prizel, I. (1998). National identity and foreign policy: Nationalism and leadership in Poland, Russia and Ukraine. pp. 1- 75. Cambridge University Press, UK.

Price, R. & Reus-Smit, C. (1998). Dangerous liaisons? *European Journal of International Relations* - EUR J INT RELAT. 4. 259-294. 10.1177/1354066198004003001.

Reeves, C. (2021). Discerning Poland's contemporary strategic culture. *Politeja* No. 6(75), 2021, pp. 283-305 https://doi.org/10.12797/Politeja.18.2021.75.14

Reus-Smit, C. (2001). Constructivism. In Burchill, S. (Ed.) *Theories of International Relations*. (pp. 200-201). New York: Palgrave.

Sadecki, A. (2022). From defying to (re-)defining Europe in Viktor Orbán's discourse about the past. *Journal of European Studies*, 52(3–4), 255–271. https://doi.org/10.1177/00472441221115565

Samorukov, M. (2021, 6 August). *Can Russia and Poland ever overcome their historical differences?* Carnegie Endowment for International Peace. Retrieved 16.05.2023 from https://carnegiemoscow.org/commentary/85115

Schmitz, R. (2020, 17 November). *Hungary And Poland block EU budget with pandemic relief funds for hard-hit nations.* National Public Radio. Retrieved 09.06.2023 from https://www.npr.org/sections/coronavirus-live-updates/2020/11/17/935775895/hungary-and-poland-block-eu-budget-with-pandemic-relief-funds-for-hard-hit-natio

Tamir, Y. (1995). The enigma of nationalism. *World Politics, Apr., 1995, Vol. 47, No. 3 (Apr., 1995),* pp. 418-440

The Government of the Republic of Hungary (2002). The National Security Strategy of the Republic of Hungary. Retrieved 09.06.2023 from https://www.files.ethz.ch/isn/157029/Hungary_English-2004.pdf

The Government of the Republic of Hungary (2020). Government resolution 1163/2020 (21st April) on Hungary's National Security Strategy. Published in: Magyar Közlöny. Retrieved 09.06.2023 from https://honvedelem.hu/hirek/government-resolution-1163-2020-21st-april.html

YouGov Cambridge (2022). Support for countering Russia - All markets. *Globalism 2022*, YouGov Cambridge. [Fieldwork Dates: 24th August - 22nd September 2022] Link

Varga, M. & Buzogány, A. (2021) The foreign policy of populists in power: Contesting Liberalism in Poland and Hungary, *Geopolitics*, 26:5, 1442-1463, DOI: 10.1080/14650045.2020.1734564

Viotti, P. & Kauppi, M. (2012). Constructivist understandings. In *International Relations Theory.* Chapter 6, pp. 277 – 322. Fifth Edition, Longman.

Wang, Z. (2018). Memory politics, identity and conflict*, Memory Politics and Transitional Justice,* pp. 12 – 17. https://doi.org/10.1007/978-3-319-62621-5_2 pp. 12 - 17